

ეს თავი გვიჩვენებს სულ უფრო აქტუალურ და მომძლავრებულ სიმბოლურ კავშირს, რომელიც მყარდებოდა, ერთი მხრივ, ევროპეიზაციასა და ევროკავშირში გაწევრიანებას — უმთავრეს პოლიტიკურ პროცესს თანამედროვე სერბეთში - ხოლო, მეორე მხრივ — ჯერ კიდევ უაღრესად პატრიარქალური ქვეყანაში — არაპეტერონორმატიული სექსუალობების გათავისუფლების სხვადასხვა ფორმებსა და სტრატეგიებს შორის. ევროპეიზებასა და ლგბტ¹ აქტივიზმს შორის ამ ჰეგემონურ ურთიერთობას ბელგრადის პრაიდ მარშის/ალღუმის ისტორიის მეშვეობით განვიხილავ.² მართალია, ჩემი მიზანი არის ამ ღონისძიებას მიწერილი დემოკრატიის „ლაკმუსის ტესტის“ ფუნქციის დესტაბილიზება (Bilić, 2016 ; Bilić & Stubbs, 2015), რთულია იპოვო სხვა მაგალითი სადაც კერძო და საჯარო პოტენციურად ასეთ ფეთქებად კვეთას ქმნიან.³ ნაკლებად ცნობილი და ღრმად სტერეოტიპიზებული სექსუალური ქცევების გარშემო მბრუნავი სხვადასხვა სოციალური პრაქტიკების, ძალებისა და ინტერესების მოკრებით, რომლებიც თანაარსებობენ ევროპული ინტეგრაციისა და ეროვნული მიკუთვნებულობის (ან გარიყვის) მრავალგანზომილებიან ნარატივებთან ერთად, პრაიდის ალღუმები წარმოადგენს მატრიცას რომელიც ერთმანეთში ხლართავს სექსუალურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ და რელიგიურ განზომილებებს, ხოლო მათთვის სახასიათო წლიური ციკლები მთელი სიმწვავეით წარმოაჩენს ლგბტ პოლიტიკებისა და აქტივიზმების კომპლექსურობას.

2001: „ჟლეტის პრაიდი“

2000 წლის 5 ოქტომბერს ათასობით ადამიანი ბელგრადში, იუგოსლავიის პარლამენტში სლობოდან მილოშევიჩის დასამხობად შეიჭრა, რათა დაესრულებინათ განადგურების, სიკვდილის, გადატაკებისა და დამცირების ხანგრძლივი ათწლეული, რომელიც მისმა რეჟიმმა - ყოფილი საერთო ქვეყნის სხვა ნაციონალისტ ლიდერებთან „ანტიტეტიკური სოლიდარობით“ (Veljak, 2005) — რეგიონს დამართა (Gordy, 1999,

¹ Binnie და Klesse (2012 , p. 445) ამტკიცებენ რომ „ტერმინი „ლგბტქ (...) საკმატოა რადგან ის მიაწვდის ინტერესთა კვაზი-ბუნებრივ თანხვედრაზე გარკვეული გენდერული და/ან სექსუალური სუბიექტურობების გარშემო“. აგრეთვე ვაცნობიერებ ფაქტს, რომ ჩვენს კონტექსტში ამ ტერმინის გამოყენება ნიშნავს ძალაუფლებრივ იერარქიებს, რომლებსაც მივყავართ გარიყვისა და დისკრიმინაციის განგრძობად პრაქტიკებამდე თავად არა-პეტეროსექსუალურ აქტივისტურ საინიციატივო ჯგუფებში. მე აკრონიმ ლგბტ-ს პრაგმატული მოსაზრებებით ვიყენებ. სერბეთსა და ხორვატიაში ბისექსუალი და ტრანს აქტივიზმის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ Bilić და Kajinić (2016).

² ეს თავი შეისწავლის ევროპული ინტეგრაციების/ევროპეიზებების მნიშვნელობას ლგბტ აქტივისტურ სტრატეგიებზე და დეტალურად არ განიხილავს სერბული ლგბტ აქტივისტური „სცენის“ კომპლექსურ „შიდა დინამიკებსა და ფრაგმენტაციებს. ამ საკითხის ანალიზისთვის, იხილეთ Bilić (2016).

³ ჯუდიტ ბატლერისთვის (1993, p. 233), მარშებმა და ქუჩის მსვლელობებმა, კროს-დრესელობასთან, დრეგ ბალებთან, ბუჩ-ფემ სანახაობებთან და „პოლიტიკური ბრაზის თეატრალიზების“ სხვა ფორმებთან ერთად, „შეაფერხეს ძალადი გაყოფა საჯაროსა და კერძო სივრცეებს შორის“ და ამით ხელი შეუწვეს „მთელს საჯარო სფეროში [...] პოლიტიკების ადგილთა“ გამრავლებას.

2013; Spuerri, 2014). ამ მოვლენის შემდეგ სერბეთი შევიდა — რაც მალევე გაირკვა — ენთუზიაზმით განმსჭვალული აღორძინების ძალზედ იმედგამაცრუებელ დროში რომელსაც თან სდევდა ახალი, დემოკრატიული, მაგრამ იდეოლოგიურად არაერთგვაროვანი და ხშირად საკმაოდ კონსერვატიული პოლიტიკური ელიტა⁴, რომელსაც გარე სამყაროსთან უნდა აღედგინა ქვეყნის ღრმად დაზიანებული კავშირები და მისთვის ევროპულ ერთა თანამეგობრობაში ადგილის დაკავების საშუალება მიეცა.

იმედის ატმოსფერომ ზოგს დააჯერა რომ ავტორიტარული პრეზიდენტის გადაგდება ამავედროულად ღრმად გამჭდარი პატრიარქალური წესების მორღვევასაც ნიშნავდა. 1995 წელს დაფუძნებული ლესბოსური ორგანიზაცია Labris-ის აქტივისტებმა და Gayten-ის კოლეგებთან ერთად (დაფუძნებული 2001 წელს) იფიქრეს რომ პრაიდის მარშისთვის დრო მომწიფებული იყო, რომელიც საბოლოოდ ხილვადს გახდიდა ქვეყნის დისკრიმინირებულ ლბ(ბტ) მოსახლეობას.⁵ ამ ღონისძიებისთვის მათ აარჩიეს ბელგრადის მთავარი რესპუბლიკის მოედანი, პროტესტისა და დაპირისპირებების ადგილი, რომელიც სერბული და იუგოსლავური 1990-იანი წლების მღელვარე ისტორიას აღნიშნავდა. ამრიგად, 2001 წლის 30 ივნისს, 5 ოქტომბრის „რევოლუციიდან“ თითქმის 9 თვის შემდეგ, მსვლელობა პრაქტიკულად მის დაწყებამდე დასრულდა, რადგან აქტივისტებს, რომლებიც ვერ იქნებოდნენ პოლიციის მხრიდან განსაკუთრებული დაცვის იმედზე, მემარჯვენე ექსტრემისტების ჯგუფი სასტიკად გაუსწორდა და სცემა. იმ დროს ასეთი მანიფესტაციის მოსაწყობად გარემოებები განსაკუთრებით არახელსაყრელი იყო, რადგან სლობოდან მილოშევიჩი, რომელიც რამდენიმე თვის წინ დააპატიმრეს, 2001 წლის 28 ივნისს გადაეცა ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალს, რომელიც ჰააგაში, ნიდერლანდებში მდებარეობს.⁶ პრაიდზე მოგონებებში, იასმინა ტესანოვიჩი (2001, ონლაინ) ამბობდა:

ორი დღის წინ, როცა ყოფილი პრეზიდენტი მოულოდნელად გადაიყვანეს ჰააგაში, მისმა მხარდამჭერებმა ამავე მოედანზე მოკრძალებული აქცია მოაწყვეს, რომელსაც პოლიცია კარგად აკონტროლებდა. თუმცა, არა დღეს, როცა სიცოცხლით სავსე, ფერად და ბედნიერ 30-50 გეის და ლესბოსელს იქ უნდა

⁴ სერბეთის დემოკრატიული ოპოზიცია, ცნობილი როგორც დიოსი, 18 პოლიტიკური პარტიისგან შემდგარი ფართო კოალიცია იყო, რომელმაც მილოშევიჩი 2000 წლის საყოველთაო არჩევნებზე დაამარცხა და ეროვნულ პარლამენტში ადგილების უმრავლესობა მოიპოვა. ის 2003 წლის ნოემბერში დაიშალა.

⁵ (კაცის) ჰომოსექსუალობა 1977 წელს დეკრიმინალიზდა ვოივოდინას ავტონომიურ ოლქში, ხოლო დანარჩენ სერბეთში (კოსოვოს ჩათვლით) 1994 წელს. ლესბოსური სექსუალობა სისხლის სამართლის კოდექსში არასდროს გამოჩენილა. ლესბოსური და გეი აქტივიზმის ფორმები სერბეთში 1990-იანი წლების დასაწყისში ძირითადად ბელგრადის კერძო ბინებში ჩნდება. პირველი აქტივისტური ორგანიზაცია, Group for the Affirmation of Lesbian and Gay Human Rights — არკადია — 1991 წლის იანვარს დაფუძნდა, თუმცა ოფიციალურად მხოლოდ 1994 წელს შეძლო დარეგისტრირება, როცა სისხლის სამართლის კოდექსის მორიგი შესწორებისას ჰომოსექსუალობა დეკრიმინალიზდა. არკადიას დამფუძნებლები იყვნენ დეიან ნებრიგიჩი და ლეპა მლადენოვიჩი, აქედან ორივე შემდეგ აქტიური იყო ანტისამარ და ანტინაციონალისტურ საინიციატივო ჯგუფებში (Bilić, 2012; Gočanin, 2014; Mladenović, 2012).

⁶ მილოშევიჩი 2006 წლის მარტში გარდაიცვალა, ვერდიქტის გამოცხადებამდე რამდენიმე თვით ადრე.

ემლერა და ეცეკვა. ამის შემდეგ, სტუდენტთა კულტურის ცენტრში საჯარო ფორუმი უნდა გამართულიყო, რომელიც ტრადიციულად თავისუფალი ალტერნატიული პოლიტიკისა და კულტურის სივრცეა. [...] მილოშევიჩი ჰააგაშია, ავაზაკები იმედგაცრუებული; ნაცვლად თავიანთი ცოლებისა და შვილების ცემისა, ისინი სცემენ ყველას, ვინც მათი წარმოდგენით არ ჰგავს პატრიოტს.

პირველი პრაიდის მარში, რომელზეც 40 ადამიანი მძიმედ დაშავდა,⁷ განსაკუთრებულად ტრავმულ მოვლენად შემორჩა სერბულ და რეგიონულ ლგბტ ისტორიას (Bilić, 2014). მან აჩვენა თუ რამდენად იყო ჰომოფობია ჩაკერილი ომის შემდგომი სერბეთის სოციალურ ქსოვილში. სანია კაინიჩი (2003, p. 4), აქტივისტი და გენდერის მკვლევარი, რომელიც მსვლელობას ესწრებოდა, წერს:

ამ დღემ ყველას ცხოვრებაზე მოახდინა გავლენა. მე ვიყავი როგორც მოედანზე სადაც ყველაფერი დაიწყო, ისე მოგვიანებით ლესბოსელ ქალებთან, თავიდან ქალთა ჯგუფის ოფისში, შემდეგ ერთი ქალის ბინაში, რომელიც საგანგებო შტაბად გარდაიქმნა და სადაც ქალები დახმარების მისაღებად მოდიოდნენ. ერთმანეთს მუდმივად ვურეკავდით, გაუთავებლად ვსაუბრობდით ახალ ამბებზე, ვუყურებდით ყველა სატელევიზიო პროგრამას და ერთად ვუკეთებდით კომენტარს და პირველი შოკის ფონზე ვცდილობდით ერთმანეთს დავხმარებოდით. ბევრი მონაწილისთვის, ბელგრადის პრაიდის ძალადობა უკიდურესი პირისპირ შეჯახება იყო ჰომოფობიასთან, რაც მათ ოდესმე გამოუცდიათ. შიშისა და პანიკის ატმოსფერო იყო, მაგრამ ასევე ერთმანეთისადმი ძლიერი მხარდაჭერისა და ზრუნვის ატმოსფეროც, რომელიც ამ კრიზისმა ხილული გახადა.

2001 წლის პრაიდმა ძირითადი პრობლემები გამოავლინა, რომლებიც მომდევნო ათწლეულის განმავლობაში თან გაჰყვა ამ მანიფესტაციას: ძალადობა, აქტივისტთა შორის ცუდი კოორდინაცია, გამართულად არტიკულირებული პოლიტიკური პროგრამის არარსებობა, არასაკმარისი და არასანდო სახელმწიფო მხარდაჭერა და შედარებით უხილავი და შეშინებული ფართო ლგბტ „თემი“⁸, რომელიც უმეტესწილად შორს დარჩა მათგან ვინც მათ წარმომადგენლობაზე აცხადებს პრეტენზიას.

2001 წლის პრაიდმა ასევე მიგვითითა იმ დამაბულობაზე, რომელსაც აჩენდა მცდელობები არაკრიტიკულად „გადმოტანილიყო“ ის, რაც ამასობაში უკვე გასაქონლებულ (ტრანსნაციონალურ) აქტივისტურ ინსტრუმენტად იქცა, რომელმაც

⁷ ერთ-ერთმა ყველა მძიმედ დაშავებულმა აქტივისტმა, იგორ დობრიჩიჩმა მოგვიანებით თქვა: „ჩემი პირადი მოსაზრებაა რომ მირჩევნია თავი მოვიკლა, ვიდრე ვიცხოვრო და ვიმალო, თუკი მომიხდება გავწირო ჩემი ადამიანური ღირსება და ჩემი უფლება ვიყო ის რაც.“ (N. N., 2001, ონლაინ).

⁸ „ლგბტ თემი“ პრობლემატური და ევრისტიკული ცნებაა, რომელსაც ფართოდ გამოიყენებენ ხოლმე, თუმცა საბოლოოდ ნათელი არაა რას ნიშნავს. მალიკოვიჩის მიხედვით (2014 , p. 366) ლგბტ თემი „ხშირად ე.წ. გეი სცენის სინონიმია, ესე იგი, გეი საზოგადოების რომელიც გამოიხატება აქტივიზმში, ქლაზინგში . . . თუმცა, სად ჩანს ამ თემის პოლიტიკური სუბიექტობა, რომელიც გამოვლინდებოდა ერთობის შესაბამისი ხარისხით?“

დაკარგა თავისი პოლიტიკური დატვირთვა იმ გარემოშიც კი, სადაც ის თავდაპირველად ჩაფიქრებული იყო ლგბტ ემანსიპაციისთვის ყველაზე ეფექტურ საშუალებად (Kates & Belk, 2001).⁹ ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვიზუალური გლობალიზაციის კონტექსტში, რომელიც „მველ“ და დღესდღეობით ძალზედ ხალისიან პრაიდის (მაგ. ნიუ იორკის, ამსტერდამის, ბერლინის, ა.შ.) სურათებს ონლაინ ადვილად ხელმისაწვდომს ხდის და, შესაბამისად, ართულებს ასეთი პროტესტის წარმოჩენას სერბულ/პოსტ-იუგოსლავურ სივრცეში როგორც გამოხატულებას ადგილობრივი წუხილებისა (Billić, 2014). მოკლე ინტერვიუში რომელიც BK Television-ის ჟურნალისტმა ერთ-ერთ მემარჯვენე ექსტრემისტს ჩამოართვა 2001 წლის ბელგრადის პრაიდის დროს, რესპოდენტმა, ალბათ ოცი წლის ფარგლებში, თქვა: „ეს არ არის ბერლინი ან პარიზი. ეს სერბეთია. ასეთი რაღაცეები აქ არ ხდება... ეს პიდარასტები, ჰომოსექსუალები და ყველაფერი ეს სერბი ხალხის წინააღმდეგაა მიმართული“ (BKTV, 2001). ასეთი მითითება ზოგიერთ დიდ ევროპულ დედაქალაქზე, რომლებიც თითქოს დეკადენტურები და გეები სავსენი არიან, მიუთითებს კონტექსტუალური/დროითი განსხვავებების მნიშვნელობაზე ან, მიჟილენსკასა და კულპას (2011) სიტყვებით, *ქვიარ ასინქრონულობაზე*, რომელიც პრაიდის თავდაპირველი დასავლური/ანგლო-საქსური გარემოდან გადმოღების გამო ჩნდება, სადაც ის *სტრუქტურულად ხელოვნებრივი* მოსახლეობისთვის მთავარი რეაგირების მექანიზმი იყო ჰომოფობიური სამართლებრივი სისტემის წინააღმდეგ, რომელიც ჰომოსექსუალურ აქტებს კერძო სივრცეებშიც კი კრძალავდა (მაგალითად, აშშ-ში).

ამასთან დაკავშირებით, ბელგრადში პრაიდის მარშის გამართვის წინააღმდეგ კამათისას მხოლოდ ხულიგნები არ მოიხმობდნენ დასავლეთს. ამრიგად, ერთი თვის თავზე მილან დურიჩმა (2001, online), ერთ-ერთმა მთავარმა ორგანიზატორმა, პრაიდთან დაკავშირებით თავისი მოსაზრება დაწერა: „ყოველგვარი დრამატიზების გარეშე, მივხვდი რომ ჩვენ ძალიან მნიშვნელოვან ისტორიულ მომენტში ვცხოვრობთ, რომ აღარაფერი იქნება იგივე და რომ ეს ჩვენი სტოუნვოლი იყო.“ სტოუნვოლის არეულობების გახსენება თან გასდევს ყოველ მომდევნო პრაიდის ორგანიზაციას, რაც ასინქრონულად და ანაქრონულად¹⁰ მოწმობს ამ მოვლენის წარმოუდგენელ

⁹ მაგალითად, ნიუ-იორკში მოღვაწე Lesbian Herstory Archives-ის აქტივისტებმა ბოლო განცხადებაში თქვეს (Petrelis, 2015, ონლაინ): „მოდით სიმართლე ვილაპარაკოთ იმაზე თუ რად იქცა ლგბტ პრაიდის მარშები და დღესასწაულები სან ფრანცისკოში, ნიუ იორკში და კიდევ რამდენიმე ქალაქში. დიახ, წვეულებებად, კორპორაციების ინსტრუმენტებად მოსინჯონ გეი ბაზარი და ჯიბე, შესაძლებლობად სადაც სტრეიტი და ლგბტ პოლიტიკოსები ფაქიზად ეძებენ ხმებს და შემომწირველებს, და პოლიტიკურ დღისწესრიგს რომელიც ვრცელდება მხოლოდ სამხედრო სამსახურში აყვანასა და ქორწინების უფლებებზე და უფულებებელყოფს სოციალური სამართლიანობის საკითხებს. კონტინგენტზე-დაფუძნებული ჯგუფებისთვის ზურგის ქცევის, ლგბტ პრაიდ მარშის მზარდი კომერციალიზაციისა და ამ ღონისძიებისადმი ჩვენი თემის წევრების კლებადი ინტერესის გამო, რაც აისახება უფრო და უფრო ნაკლებ მსვლელობის მონაწილეში, Lesbian Herstory Archives-მა გადაწყვიტა ოფიციალურად აღარ მიიღოს მონაწილეობა კვირას 28 ივნისის ლესბოსელებისა და გეების პრაიდის მარშში.“

¹⁰ „ადმოსავლური დამთხვეულობის დროის“ („ყველაფერი თანადროულად“ ... დრო(ებ)ის მუდმივი 'ხლართვა' და 'წრიულობა' 1989 წლის შემდეგ' Mizielinska & Kulpa, 2011, p. 15) განსაკუთრებით მთამბეჭდავი მაგალითს ვაწყდებით ქვირია/Kvirija-ს ინიციატივაში. ეს უკანასკნელი წარმოადგენდა არამალადობრივი და თანასწორობის კულტურის გამავრცელებელ ცენტრს, მოქმედს *სოციალ-დემოკრატიული ახალგაზრდობის* შიგნით (1996 წელს დაფუძნებული მცირე საპარლამენტო

გამძლეობასა და „აღმამფრენ პოტენციალზე“ (Bilić, 2016), რომელიც აქტივისტებს ანიჭებს „მისიის“ (Antonić, 2003) განცდას და მათ აშორებს ადგილობრივი სამართლებრივი, პოლიტიკური და სოციალური გარემოს თავისებურებებს.¹¹ ეს კულპასა და მიჟიელისკასთან გვაბრუნებს (2011, p. 2), რომლებიც კითხულობენ:

„თუ დასავლურ კონტექსტში „ქვიარი“ რადიკალიზაციად „სტოუნვოლის ხანის“ იდენტობის პოლიტიკას უკავშირდება (და მას სავარაუდოდ უარყოფს), . . . რა რჩება „ქვიარისგან“ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის კონტექსტში, სადაც სტოუნვოლი არასდროს მომხდარა; სადაც ის ცარიელი აღმნიშვნელია, უშინაარსო ფიგურა და მაინც კვლავ ყველგანმყოფი და მონუმენტური მითითების წერტილი.“

მეტიც, ივნისის პრაიდის ფონზე, თავად ორგანიზატორებმა, ნაცვლად თავიანთი სტრატეგიების ადგილობრივ სოციო-პოლიტიკურ კონტექსტზე მორგებისა, გაავრცელეს განცხადება, რომელშიც თქვეს

საზოგადოებას შევახსენებთ რომ ლესბოსელებისა და გეების უფლებები ადამიანის უფლებებია, გარანტირებული საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებით, რომლებსაც ჩვენი ქვეყანაც აწერს ხელს. ადამიანის უფლებები პოლიტიკური საკითხია და სწორედ ამიტომ ჩვენ ველით რომ სახელმწიფო ორგანოები და პოლიტიკური პარტიები საჯაროდ დააფიქსირებენ თავიანთ პოზიციას ლესბოსელებისა და გეების უფლებებზე. ასეთი მოვლენები (ე.ი. ძალადობა) არ შეიწყნარება არც ერთ სხვა ცივილიზებულ ქვეყანაში. თუ ხელისუფლებას სურს სერბეთის ევროკავშირში წაყვანა, ისინი არასწორ გზას ადგანან (Labris & Gayten-LGBT, 2001, ონლაინ).¹²

ევროკავშირზე ღია მითითებით, აქტივისტები ამბობენ რომ სერბეთი ამ ორგანიზაციაში „წაყვანას“ საჭიროებს და გულისხმობენ რომ ის მანამდე გაწევრიანებისთვის მზად უნდა იყოს, ის უნდა გარდაიქმნას და გახდეს მოწიფული და ევროპული. პეტროვიჩის მიხედვით (2012), გზის (კვლად ყოფნის, მოგზაურობის) მეტაფორა, დაფუძნებული იმ იდეაზე რომ ჩვენ უნდა გადავადგილოდეთ რათა გარკვეული ამოცანა შევასრულოთ, არის — *ციხესიმაგრის, ოჯახისა და მომავლის ცნებების გვერდით — ყველაზე ხშირად გამოყენებული დისკურსული სტრატეგია*

პოლიტიკური პარტიის, სოციალ-დემოკრატიული კავშირის ახალგაზრდული ფრთა). კერძოდ, 2001 წლის გაზაფხულს, ამ ორგანიზაციამ წამოაყენა ინიციატივა სერბეთის პარლამენტის წინაშე რომ მიეღოთ კანონი ერთსქესიანთა კავშირების შესახებ. ამ ინიციატივის გასაჯაროების შემდეგ, პარტიის პრეზიდენტი, ზარკო კორაჩიკ კი იძულებული გახდა ეთქვა რომ ეს არ იყო *კავშირის* ოფიციალური პოლიტიკა და რომ მისი ახალგაზრდული ფრთა თავისუფალი იყო ქმედებებში (Grujić, 2003). ეს ინიციატივა დასრულდა მას მერე რაც ხულიგნების ჯგუფი სოციალ დემოკრატიული კავშირის სათაო ოფისში შეიჭრა და სოციალ დემოკრატიული ახალგაზრდობის რამდენიმე წევრი სცემეს (Goćanin, 2014 ; Petrović, 2003).

¹¹ 1969 წლის 27 ივნისს პოლიციამ რეიდი მოაწყო ნიუ იორკის სტოუნვოლ ინში, თუმცა — განსხვავებით წინა შემთხვევებისა — წააწყდა წინააღმდეგობას დრეგ ქვინებისგან, ტრანსსექსუალებისგან, ლესბოსელებისგან და გეი კაცებისგან. ერთი თვის თავზე, დაახლოებით 500-მა ადამიანმა, პირველ პრაიდზე, მსვლელობა მოაწყო სტოუნვოლ ინისკენ, რითაც თანამედროვე ლგბტ უფლებებისთვის მებრძოლი მოძრაობის საწყისი მოინიშნა (Kates & Belk, 2001).

¹² თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, სერბულიდან ყველა თარგმანი ჩემია.

ევროკავშირში კანდიდატ-სახელმწიფოს მიღების პროცესის რეპრეზენტირებისთვის. ამ მეტაფორის თავისებურება მდგომარეობს იმ ფაქტში რომ ნაგულისხმევი მიზანი, სახელდობრ ევროკავშირში გაწევრიანება, არ შეიძლება წინასწარ გარანტირებული ან განჭვრეტადი იყოს, არამედ მუდმივად გადადებულია და დატვირთულია მრავალი წინაღობითა და დამატებითი პირობით, რაც შთაბეჭდილებას ქმნის რომ მიზანი მუდმივად უფრო შორს მიდის მომავალში. ამით იქმნება განცდა რომ კანდიდატი ქვეყანა სამუდამოდ გაჭედილია ევროკავშირის „უშუალო შემოგარენში“ (Jansen, 2009).

მარშიდან რამდენიმე დღის შემდეგ, *Forum pisaca*-მ (2001, online), არასამთავრობო ორგანიზაციამ რომელიც აერთიანებს მწერლებსა და სხვა ინტელექტუალებს, გამოაქვეყნა განცხადება სადაც ისინი ამბობენ:

30 ივნისის შაბათს, ბელგრადის ქუჩებში მემარჯვენე, ნაციონალისტ, კლერიკალისტ, პრო-ფაშისტ ელემენტთა პრიმიტიული ორგია ისევე როგორც საჯაროდ გამოთქმული უკიდურესი ჰომოფობია და გეი პრაიდის აღლუმის მონაწილეთა და მათი მხარდამჭერების ლინჩის წესით ჩაქოლვა ყველაზე სერიოზული გაფრთხილებაა იმისა რომ სერბეთი გზაგასაყარზე დგას. რეფორმებისა და დემოკრატიის ევროპული გზის გვერდით არსებობს სხვა გზაც, გზა რომელსაც მივყავართ ძალადობის უზენაესობასთან და ქუჩის ტერორთან. პოპულიზმის, მილიტარიზმისა და ნაციზმის ძალები არ დასუსტებულან, პირიქით, ისინი კიდევ უფრო გაძლიერდნენ და მათ ახალისებთ ოპოზიციაში ან ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკოსებისგან წამოსული როგორც ღია, ისე დაფარული გზავნილები.

მსგავსად, სერბეთში ჰელსინკის კომიტეტმა ადამიანის უფლებებისთვის, ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა (ზოგჯერ საკამათო¹³) ადამიანის უფლებებზე ორიენტირებულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, რომელიც 1990-იანი წლებიდან მოქმედებს, შემდეგი რამ განაცხადა:

ჰელსინკის კომიტეტი ადამიანის უფლებებისთვის იმეორებს რომ აუცილებელია დაუყოვნებლივ იქნას მიღებული შესწორებები სერბეთის რესპუბლიკისა და იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკის კონსტიტუციებში, რომელიც უზრუნველყოფს უფლებას განსხვავებულ სექსუალურ ორიენტაციასა და მისი გამოხატვაზე და რომელიც აგრეთვე უზრუნველყოფს სექსუალური უმცირესობების პოლიციურ და სამართლებრივ დაცვას. ეს ნაბიჯი უნდა მიღებულ იქნას რაც შეიძლება სწრაფად, რადგან რეტროგრადი ინსტიტუტები, სერბეთის მართლმადიდებლური ეკლესიის თაოსნობით, უფრო და უფრო ხშირად მოუწოდებენ ჰომოსექსუალთა ლინჩის წესით გასამართლებისკენ. თანამედროვე მსოფლიოში, ის თუ როგორ ეპყრობა საზოგადოება ჰომოსექსუალებს ამ საზოგადოების ცივილურობის ხარისხის მაჩვენებელია (Stanojlović, 2001, ონლაინ).

¹³ იხილეთ ბოლო ინტერვიუ რომელიც ამ ორგანიზაციის ლიდერმა, სონია ბისერკომ ხორვატიულ ჟურნალ *Vijenac*-ს მისცა (Tunjić, 2015).

ორივე ეს განცხადება რომელიც ბელგრადის პრაიდების ისტორიაში ასე ადრე გამოჩნდა, ასახავს იმ „ნაპრალს“ რომელიც ლგბტ აქტივისტებს და არაჰეტერონორმატიულ სექსუალობებს უფრო და უფრო გამოყოფს „არასაკმარისად ცივილიზებული“ გარემოსგან, რომელსაც ისინი უნდა დაუპირისპირდნენ. ამრიგად, ერთ-ერთ პირველ პრაიდთან დაკავშირებულ აქტივისტურ რეაქციაში უკვე ჩნდება სიმბოლური კავშირი ჰომოსექსუალობასა და ევროინტეგრაციის პროცესებს შორის, სადაც გეებისა და ლესბოსელებისადმი „შემწყნარებლობა“ კონსტრუირებულია როგორც დროითა და სივრცით დაშორებული ცივილიზაციისა და მოდერნულობის ნიშანი. ეს მოხდა როგორც ლგბტ, ისე ზოგადად მოსახლეობის ყოველდღიურ რეალობასთან უფრო ახლო შეჭიდების ხარჯზე. ასეთი „ცივილიზაციური დისკურსი“ არც მაშინდელ სერბეთის პრემიერ მინისტრს ზორან დინდიჩს გამორჩენია (B92, 2001, ონლაინ),¹⁴ რომელიც ბევრისთვის უკეთესი მომავლის მაუწყებლად ითვლებოდა:

ჩემი აზრით ძალიან ადრეა ქვეყნისთვის შემწყნარებლობის ტესტის ჩაბარება, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში იზოლირებული და რეპრესიული პატრიარქალური კულტურის ქვეშ იყო. მე, ცხადია, ყველა გაგებით შემწყნარებლობის მხარდამჭერი ვარ და ყველას აქვს უფლება გამოხატოს თავისი განსხვავება იქამდე, სანამ ისინი ზიანს არ აყენებენ სხვას და ისინი ნამდვილად არავის აყენებენ ზიანს სექსუალური ორიენტაციის ქონით. ეს შემწყნარებლობის ყველაზე მაღალი დონეა და ვშიშობ მის მისაღწევად დრო დაგვჭირდება.

საგულისხმოა რომ ბელგრადში პრაიდის მარშამდე ერთი დღით ადრე, დინდიჩი ბრიუსელში, ევროკავშირის შტაბ-ბინაში იმყოფებოდა, სადაც ცდილობდა 1.25 მილიარდი დოლარის მხარდაჭერის მოპოვებას იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკისთვის და 15 ევროპულ ქვეყანას, აშშ-ს, კანადასა და იაპონიას პირდებოდა ადამიანის უფლებების პატივისცემას. თუმცა, მარშის დღიდან მალევე, როცა აშკარა გახდა რომ სახელმწიფომ არ მოინდომა მისი მონაწილეების დაცვა, ILGA-Europe-მა¹⁵ გამოაცხადა რომ ისინი ამას ევროკავშირთან გააპროტესტებდნენ. ისინი ამბობდნენ რომ იუგოსლავიისთვის ევროკავშირის დახმარება პირობით დამოკიდებული უნდა ყოფილიყო ადამიანის უფლებების პატივისცემაზე (Simo, 2001). ეს ფართოდ გავრცელებული და ზოგჯერ საკმაოდ არაკრიტიკული დაჟინება ადამიანის უფლებების პარადიგმაზე, რომელიც ძირითადი დისკურსული ინსტრუმენტი გახდა პრაიდის მარშების საზრისის არტიკულირებისა და დასაბუთებისთვის, მას უნივერსალურად წარმოადგენს როგორც მიზნების, ისე გამოყენებადობის მხრივ (Stychin, 2004). უაღრესად არასტაბილურ და ეკონომიკურად განადგურებულ გარემოში, ადამიანის უფლებების პარადიგმა ხშირად ნიღბავს იდენტობისთვის ბრძოლის კლასობრივ შემადგენელს, რომელიც არსებითად მრავალკლასური ფენომენია. ის აგრეთვე სექსუალური ორიენტაციის ესენციალიზებას ახდენს და

¹⁴ ვოისლავ კოსტუნიცამ, იუგოსლავიის ფედერალური რესპუბლიკის მაშინდელმა პრეზიდენტმა და ევროკავშირისადმი კრიტიკულად განწყობილმა კონსერვატორმა პოლიტიკოსმა, არ დაგმო პრაიდის მონაწილეებზე თავდასხმები (Simo, 2001).

¹⁵ ILGA-Europe საერთაშორისო არასამთავრობო ქოლგა ორგანიზაციაა, რომელიც მუშაობს ლესბოსელ, ბისექსუალ, ტრანს და ინტერსექსუალ საერთაშორისო ასოციაციის შიგნით (ILGA, დაარსდა 1978 წელს) და თავს უყრის 422 ორგანიზაციას 45 ევროპული ქვეყნიდან. ILGA-Europe დაარსდა როგორც ILGA-ს განცალკევებული რეგიონი და დამოუკიდებელი სამართლებრივი სუბიექტი 1996 წელს.

ამყარებს გეი განსხვავების იდეას, რომელიც, თავის მხრივ, საზოგადოებას აშორებს ლგბტ მოძრაობისგან როგორც საყოველთაოზე ორიენტირებულ პოლიტიკურ ინიციატივას.

პირველი მარშის ამ ტრავმული გამოცდილების შემდეგ, რომელსაც დღეს „ჟლეტის პრაიდად“ იხსენებენ, მომდევნო სამი წლის განმავლობაში ამ მანიფესტაციის ორგანიზების სხვა მცდელობა არ ყოფილა. სიძულვილითა და ძალადობით შეპრჭუნებულმა „თემმა“, რომელიც ნაფლეთებად იყო ქცეული, ექვემდებარებოდა თავად ამ ღონისძიების მიზანშეწონილობა. ერთ-ერთმა ყველაზე ხილვადმა ლესბოსელმა აქტივისტმა და პირველი პრაიდის თანაორგანიზატორმა, ლეპა მლადენოვიჩმა (ციტირებული Kajinić-თან, 2003 , p. 30) განაცხადა:

მე მაქვს განცდა რომ ბევრმა მათგანმა [ლესბოსელმა პრაიდის მონაწილეებმა] როგორღაც გააქტიურა მათი ზოგი ძველი შიში და რომ ისინი ახლა მათ ეჭიდებიან ზოგ სხვა ფაქტთან ერთად რათა გაამართლონ თავიანთი შიში. და რომ სწორედ ამან მათ ხელი შეუშალა მთელი მათი ლესბოსური არსებობის განვითარებას, რაც ჩემთვის ძალიან რთული მისაღები იყო. იმიტომ რომ, მაშინ (...) ცხადია უკეთესი იქნებოდა რომ არაფერი მომხდარიყო, ვიდრე ის რაც მოხდა, რადგან ბელგრადში მთელმა მოძრაობამ უკან დაიხია. რეალურად, ქალი და კაცი აქტივისტები ჩავარდნენ ისეთ ვითარებაში რომელიც უფრო რთულია ვიდრე აქამდე იყო. მთელ ამ ღონისძიებას ჩვენ უნდა შევეგულიანებინეთ, რადგან ჩვენთვის უნდა გაეუმჯობესებინა. თუმცა, ჩვენ ათჯერ უარეს ვითარებაში ვართ ვიდრე ამ დღემდე. (...) მეორე მხრივ, ცხადია ეს უზარმაზარი ინფორმაცია იყო იმ საზოგადოების შესახებ რომელშიც ვცხოვრობთ. ამან გამოგვაფხიზლა და არა მხოლოდ ჩვენ!"¹⁶

2004: სამართლებრივი ცვლილების მიმართულებით

ლგბტ „თემი“ 2003 წლის მეორე და 2004 წლის პირველ ნახევარში კონსოლიდირდა, როცა სექსუალურად განსხვავებული ადამიანების უფლებების ხელშეწყობის ასოციაცია "პრაიდმა" (Udruženje za promociju ljudskih prava seksualno različitih "Pride"), ჟურნალისტ ბორის მილიჩევიჩის ხელმძღვანელობით,¹⁷ გამოაცხადა რომ ის ბელგრადში გეგმავდა მეორე პრაიდის მარშის გამართვას 2004 წლის 17 ივლისს. თარიღის არჩევანის ახსნისას, მილიჩევიჩმა (ციტირებულია Popović-თან, 2004 , 28) განაცხადა:

¹⁶ პირველი პრაიდის მარში მნიშვნელოვანი პრეცედენტი იყო ზაგრების პრაიდისთვის, რომელიც 2002 წელს ჩატარდა. კაინიჩი (2003, p. 16), 2002 წლის ზაგრების პრაიდის ორგანიზატორი და 2001 წლის ბელგრადის პრაიდის მონაწილე, წერს: „საგულისხმოა რომ ინტერვიუებული ქალები საუბრობდნენ მათ წუხილზე პრაიდის მონაწილეების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით და მუდმივად მიუთითებდნენ ბელგრადის პრაიდის მოვლენებზე, რაც ნათელს ჰფენს იმას თუ ზაგრების პრაიდის შედარებითი წარმატება რამდენად იყო გაპირობებული ბელგრადის პრაიდის გამოცდილებიდან გამოტანილი გაკვეთილებით.“

¹⁷ 2004 წლიდან მილიჩევიჩი ფირმა Loud & Queer-ის მფლობელია, რომელიც ორგანიზებას უკეთებდა გეი წვეულებებს ბელგრადსა და ნოვი სადში.

პრაიდი ვიდოვდანამდე¹⁸ ორი დღით ადრეა და ჩვენ არ გვინდა საზოგადოების გაღიზიანება. ივლისის პირველი დღე Exit ფესტივალისთვისაა გადადებული, როცა ბევრი ადამიანი იქნება ნოვი სადში, სწორედ ამიტომ ჩვენ გადაწყვეტიტეთ ღონისძიება 17 ივლისს გავმართოთ. [...] ალღუმი აქ პოლიტიკური მოვლენაა. ჩვენ გვინდა რომ ჩვენი არსებობა ვაჩვენოთ და გავაძლიეროთ მოძრაობა ჩვენს ქვეყანაში. ჩვენ არ გვინდა რომ გვცემონ, სახლებიდან გამოგვყარონ ან გვესროლონ იმისთვის რომ სექსუალურად განსხვავებულები ვართ.

ამ შემრიგებლურ დამოკიდებულებასთან ერთად, ორგანიზატორებმა გაიხსენეს რომ 2001 წლის პრაიდის მონაწილეები ვერ დაეყრდნენ პოლიციის მხარდაჭერას და დაგეგმეს 400-450 კაციანი კერძო დაცვის სერვისის დაქირავება (Stanimirović, 2004). ისინი ასევე ცდილობდნენ სხვა ლგბტ ორგანიზაციების წარმომადგენლების ჩართვას, მაგრამ 2001 წლის მარშის ორგანიზატორებმა Labris-მა და Gayten-მა განაცხადეს, რომ ღონისძიებაში მონაწილეობას არ მიიღებდნენ. ასევე, დელეგაციამ იმოგზაურა ავსტრიასა და გერმანიაში 2004 წლის იანვარსა და თებერვალში, რათა მოეპოვებინა მხარდაჭერა Belgrade Pride-ისთვის. ამ დელეგაციის ერთ-ერთმა წევრმა ანია არნაუტოვიჩმა (როგორც ციტირებულია პოპოვიჩში, 2004, გვ. 28), განაცხადა:

ხალხს გაუჭირდა იმის აღიარება, რომ მონაწილეებს სცემენ პრაიდის მსვლელობებზე, რადგან ეს არის ის, რაც დასავლეთ ევროპის ქვეყნებში დიდი ხნის განმავლობაში გასცდა სექსუალურ უმცირესობებს. განსაკუთრებით ძლიერი შთაბეჭდილება დატოვა ბელგრადის ქუჩებში ადამიანების ცემის სცენებმა და ამის გამო გვითხრეს, რომ - სოლიდარობის ნიშნად - ხალხის მასიური შემოსვლა მოხდებოდა იმ ადგილებიდან, სადაც ჩვენ მოვინახულებთ.

თუმცა, ქვეყანაში პოლიტიკური ვითარება თანდათან უარესდებოდა, რადგან 2004 წლის მარტში კოსოვოში არეულობები დაიწყო. რასაც სერბეთის მაშინდელმა პრემიერ მინისტრმა ვოისლავ კოშტუნეცამ "პოგრომის მცდელობა" უწოდა, რამდენიმე ათასი სერბი იძულებული გახდა დაეტოვებინა კოსოვო, ხოლო 28 დაიღუპა. (BBC, 2004 წ.). ამის საპასუხოდ, ძალადობრივი საპროტესტო აქციები გაიმართა ბელგრადში, ნოვი სადსა და ნიშში, რის შემდეგაც ასოციაცია „პრაიდმა“ გადაწყვიტა მსვლელობის გაუქმება. 2004 წლის 8 აპრილს გამოქვეყნებულ განცხადებაში ორგანიზატორებმა განაცხადეს:

ამ გადაწყვეტილების მთავარი მიზეზი არის ძალიან მაღალი რისკი და ყველა მონაწილის უსაფრთხოების გარანტიის შეუძლებლობა, ისევე როგორც დემოკრატიული საზოგადოების ძლიერი მხარდაჭერის ნაკლებობა. ბელგრადის ქუჩებში მემარჯვენე ექსტრემისტების მიერ გამოწვეული განმეორებითი ძალადობის შემდეგ, რომლებმაც მეჩეთებს ცეცხლი წაუკიდეს,

¹⁸ ვიდოვდანი (წმ. ვიტუსის დღე) სერბეთში მნიშვნელოვანი ეროვნული და რელიგიური დღესასწაულია. ეს არის მოგონების დღე წმინდა უფლისწული ლაზარისა და სერბი წმინდა წამებულების, რომლებიც დაიღუპნენ 1389 წლის 28 ივნისს კოსოვოს ბრძოლაში. გარდა ამისა, 1914 წლის 28 ივნისს, ერცჰერცოგი ფრანც ფერდინანდი, იმპერატორ ფრანც ჯოზეფის ძმისწული და ავსტრო-უნგრეთის იმპერიის ტახტის მემკვიდრე, მოკლეს სარაევოში, ბოსნია-ჰერცეგოვინაში. ეს მოვლენა ბევრისთვის ანტი-იმპერიული გათავისუფლების აქტია. ასევე, სლობოდან მილოშევიჩი 2001 წლის 28 ივნისს გადაიყვანეს ჰააგის ტრიბუნალზე, რაც დამატებით ნაციონალისტურ მუხტს სძენს ამ დღეს.

ცხადი გახდა, რომ სერბეთში არა მხოლოდ დომინირებენ ექსტრემისტული ნაციონალისტური და კონსერვატიული ძალები, რომლებიც არ იღებენ რაიმე განსხვავებას, არამედ ისიც, რომ მმართველ ორგანოებს არ აქვთ ნება შეაჩერონ ძალადობა და ააშენონ დემოკრატიული საზოგადოება, სადაც იქნება ადგილი განსხვავებისთვის. [...] პრაიდ აღლუმს არ მიუღია სამოქალაქო, პროევროპული პარტიების ან არასამთავრობო სექტორის მხარდაჭერა, რასაც ის ელოდა. ლგბტ მოძრაობა სერბეთში ჯერ კიდევ სუსტია და მას არ ძალუძს საჯაროდ იბრძოლოს თავისი უფლებებისთვის. შემდეგი პრაიდის აღლუმში ბელგრადში გაიმართება, როდესაც მთელი დემოკრატიული საზოგადოება მზად იქნება ამისთვის და მანამდე „პრაიდი“ გააგრძელებს მუშაობას სხვა პროექტებზე, რომლებიც ხელს შეუწყობენ სერბეთში უმცირესობათა ჯგუფების სტატუსის გაუმჯობესებას (Udruženje za promociju ljudskih prava seksualno. različitih “Pride”, 2004, ონლაინ).

მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ პრაიდის მარშის ორგანიზება შეუძლებელი იყო, ზოგმა ლგბტ ორგანიზაციამ გადაწყვიტა თავისი ძალისხმევის კონცენტრირება საკანონმდებლო ცვლილებაზე. ამრიგად, უკვე 2003 წელს აქტივისტებმა აღნიშნეს, რომ არ არსებობდა სამართლებრივი რეგულაცია, რომელიც ახსენებდა სექსუალური უმცირესობების დაცვას და მოითხოვეს სისხლის სამართლის კოდექსში დაემატებინათ მუხლი, რომელიც აკრძალავდა დისკრიმინაციას სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე (მაგ. Gayecho, 2004). მიუხედავად იმისა, რომ ლგბტ ორგანიზაციებმა ძალადობის ფონზე „უკან დაიხიეს“, ულტრამემარჯვენე ჯგუფი, რომელიც ცნობილია როგორც Obraz¹⁹, აგრძელებდა მუქარას არაჰეტეროსექსუალებისთვის კამპანიით, რომელშიც ისინი ავრცელებდნენ პლაკატებს, რომლებზეც ნათქვამია: „პრევენცია უკეთესია, ვიდრე განკურნება“ (Bolje sprečiti nego lečiti). ამ აგრესიული ინიციატივის შემდეგ, რომელსაც ადგილი ჰქონდა პოლიტიკურად არასტაბილურ ვითარებაში, სერბეთის ლგბტ აქტივისტური ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მისწერეს წერილი (Mladenović et al., 2004, გვ. 8) მთავრობას, სადაც მოიხმეს ევროკავშირი და მიუთითეს ანტიდისკრიმინაციულ კანონზე:

იმის გათვალისწინებით, რომ თქვენ მომხრე ხართ სერბეთის ევროკავშირში ინტეგრაციის, ჩვენ ველით, რომ დაგმობთ ჰომოფობიას, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ეს აკრძალულია ამ თანამეგობრობის ძირითადი დოკუმენტებით და ძალზე აიკრძალება ასევე სერბეთის რესპუბლიკის ახალი ანტიდისკრიმინაციული კანონით.

2009: „თანასწორობის დროა“

ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება მხოლოდ 5 წლის შემდეგ მოხდა და დროის განმავლობაში ბელგრადში პრაიდის მარშები არ ყოფილა. თუმცა, 2009 წელსაც კი, ამ საკანონმდებლო ცვლილებას კამათის გარეშე არ ჩაუვლია. მთავრობამ გადაწყვიტა ამოეღო თავდაპირველი პროექტი სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიისა და სხვა „ტრადიციული ეკლესიების“ ზეწოლის გამო, რომლებიც აპროტესტებდნენ მუხლებს,

¹⁹ 2012 წლის 12 ივნისს სერბეთის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ულტრამემარჯვენე (მართლმადიდებლური კლერიკალურ-ფაშისტური) ორგანიზაცია აიკრძალა.

რომლებიც არეგულირებენ რწმენის თავისუფალ გამოხატვას, ასევე სექსუალურ ორიენტაციას და გენდერულ იდენტობას (B92, 2009). ეს ნაბიჯი მკაცრად გააკრიტიკეს პოლიტიკურმა პარტიებმა, არასამთავრობო სექტორმა, ასევე მრავალმა საერთაშორისო ორგანიზაციამ. ამრიგად, გეებისა და ლესბოსელების ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კომისიამ²⁰ და ILGA-Europe-მა (Johnson & Meirleir, 2004, ონლაინ) გაუგზავნეს ერთობლივი წერილი სერბეთის მთავრობას, რომელშიც განაცხადეს, რომ ისინი

ღრმად იყვნენ შეშფოთებულნი, რომ დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ყოვლისმომცველი კანონპროექტი ამოღებულ იქნა საპარლამენტო განხილვიდან [...] მიუხედავად ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო საზოგადოების სხვა ჯგუფების მხარდაჭერისა [...] ჩვენ გვესმის, რომ კანონპროექტისადმი წინააღმდეგობა ეხება პუნქტებს, რომლებიც კრძალავენ სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის და რელიგიის საფუძველზე დისკრიმინაციას. ჩვენ მოგიწოდებთ, მიიღოთ კანონი ამ პუნქტების გაუქმების გარეშე. [...] სამართლებრივი დაცვით, საჯარო ხელისუფლება მათ [ლგბტ ადამიანებს] თანაბრად მოექცევა, კითხვის ნიშნის ქვეშ აღარ დააყენებს მათ უფლებებს გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებაზე და აღიარებს მათ ღირსებას. საზოგადოება საბოლოოდ მიჰყვება სახელმწიფოს ხელმძღვანელობას და სერბეთი იქნება იმ ქვეყნების რიცხვში, რომლებიც პატივს სცემენ ლგბტ ადამიანების უფლებებს.

სამი კვირის შემდეგ, 2009 წლის 26 მარტს, ეროვნულმა კრებამ მიიღო ანტიდისკრიმინაციის კანონი მცირედი ცვლილებებით.²¹ მთავრობამ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ამ კანონის მიღებით მან პარლამენტს წარუდგინა ყველა კანონპროექტი, რომელიც აუცილებელია სერბეთის შესვლისთვის, რასაც ჰქვია „შენგენის თეთრი სიაში“, რაც სერბეთის მოქალაქეებს საშუალებას მისცემს შენგენის ზონის ქვეყნებში უვიზოდ იმოგზაურონ (R. D, 2009). ხელისუფლების ასეთი ფორმალისტური ორიენტაცია, რომელიც აღიქვამდა კანონს, არა იმდენად, როგორც უმცირესობების დაცვის სამართლებრივ ინსტრუმენტს, არამედ როგორც ევროინტეგრაციის პროცესში ინსტრუმენტს, ლგბტ „თემის“ ყველა წევრმა დადებითად არ მიიღო. ერთმა კომენტატორმა ინტერნეტ ფორუმზე Gay Serbia თქვა: „ეტაპობრივად ჩვენ ვიღებთ ამ ფორმალურ უფლებებს... მაგრამ ჩვენ შევცვლით ჩვენს რეალობას უფრო სარისკო გზით“ (Calypso, 2009, ონლაინ).

²⁰ გეებისა და ლესბოსელების ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კომისია (IGLHRC) არის საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ემსახურება არაჰეტეროსექსუალთა ადამიანის უფლებების დაცვას. ის ძირითადად დაფუძნებულია ნიუ-იორკში, სადაც მას აქვს საკონსულტაციო სტატუსი გაეროსთან.

²¹ სერბი გენდერული კვლევების მეცნიერი იელისავეტა ბლაგოვეიჩი (2011, გვ. 28) ამტკიცებდა ფართოდ ციტირებულ ტომში De-Centring Western Sexualities, რომ „სერბეთი ერთ-ერთი ბოლო ქვეყანაა ევროპაში, რომელმაც მიიღო ზოგადი ანტიდისკრიმინაციული კანონები“. ამ წინადადებას მოჰყვება პოლონური ტომის რედაქტორების Kulpa და Mizielińska (2011, გვ. 28) საკმაოდ უჩვეულო სქოლიო ჩარევა, სადაც ამბობენ: „მიუხედავად იმისა, რომ ავტორი, როგორც ჩანს, საკმაოდ კრიტიკულია სერბეთის ამ წინსვლის მიმართ, როგორც „გვიან“, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი კანონები ჯერ კიდევ არ არის სტანდარტი და რეალურად ევროკავშირის ვითომდა „უფრო მოწინავე“ ქვეყანას (როგორიცაა პოლონეთი) ჯერ კიდევ არ მიუღია ისინი, რაც რეალურად სერბეთს ცვლილებების წინა ხაზზე აყენებს“.

ანტიდისკრიმინაციული კანონით, ლგბტ აქტივისტურმა ორგანიზაციებმა საბოლოოდ შეიძინეს სრული სამართლებრივი საფუძველი პრაიდის მარშის მოსაწყობად და 2009 წლის გაზაფხულზე Labris-მა და Gay Straight Alliance-მა²², რომელიც გაერთიანდა ლოზუნგით „თანასწორობის დროა“, გააძლიერა ძალისხმევა ამ მიმართულებით.²³ საკანონმდებლო ცვლილებებმა ასევე გააძლიერა ევროპეიზაციის დისკურსი, როგორც კონტექსტი, რომელშიც პოზიციონირებულია ლგბტ უფლებებთან დაკავშირებული აქტივობები, ხოლო ახალი პრაიდის ორგანიზების გეგმებს მხარი დაუჭირეს ევროკავშირის ქვეყნების დიპლომატიური მისიებისა და ევროკავშირის წარმომადგენლებმა.²⁴ მაგალითად, ევროპარლამენტის წევრმა იელკო კაცინმა (Belgrade Pride Blog, 2009c, ონლაინ), გაუგზავნა წერილი პრაიდის ორგანიზატორებს, რომელშიც ნათქვამია:

მინდა გაუწყოთ ჩემი მტკიცე მხარდაჭერა სიამაყის მარშთან დაკავშირებით, რომელსაც თქვენ აწყობთ და ამზადებთ 2009 წლის 20 სექტემბერს ბელგრადში. ერთ-ერთი ძირითადი ევროპული ღირებულება, რასაც ეყრდნობა ევროკავშირის ხალხთა მთელი დიდი ოჯახი, არის დაცვა ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაციისგან. სწორედ ამიტომ, მე მტკიცედ მჯერა, რომ ევროკავშირში სრულუფლებიანი წევრობის გზაზე სერბეთმა უნდა გაიაროს დემოკრატიის დიდი გამოცდა იმ პირობების შექმნით, რაც საშუალებას მისცემს მსგავსი ღონისძიება ჩატარდეს პროვოკაციების და ინციდენტების გარეშე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, პეტროვიჩი (2012) აჩვენებს, რომ მანძილთან ან გზასთან ერთად ოჯახი ევროკავშირის წარმომადგენლობის ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული მეტაფორაა დასავლეთ ევროპის პოლიტიკურ დისკურსებში ევროკავშირის რეპრეზენტირებისთვის. ევროკავშირში გაწევრიანების კონცეპტუალიზებით, როგორც ოჯახურ ბუდეში დაბრუნებით, ეს მეტაფორა „შესაძლებელს ხდის სხვადასხვა დონეზე ცალკეული ქვეყნების იერარქიზაციასა და პატერნალიზმს დანარჩენი ქვეყნების მიმართ“ (გვ. 45). ამ გაგების თანახმად, სერბეთი ჯერ კიდევ შორს არის ოჯახში გაერთიანებისგან— მან უნდა „მოიპოვოს ამის უფლება და დაამტკიცოს თავისი მომწიფებულობა“ (გვ. 46) ამ შემთხვევაში პრაიდის მარშის წარმატებით ორგანიზებით, რისთვისაც მას შეიძლება დასჭირდეს მონიტორინგი, კონტროლი და განათლება.

თუმცა, როდესაც აშკარა გახდა, რომ ნაციონალისტური/მემარჯვენე წინააღმდეგობა 2009 წლის მარშის მიმართ ჯერ კიდევ იმდენად ძლიერი იყო, რომ მისი ჩატარება

²² Gay Straight Alliance არის ბელგრადში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ემსახურება უფლებების ლობირებას და სერბეთში ლგბტ პირების სტატუსის კვლევას. იგი დაარსდა 2005 წელს ბორის მილიჩევიჩის მიერ.

²³ კანონის მიღების შემდეგ, ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარეობამ, იმ დროს შვედეთის მეთაურობით, გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ მიესალმა სერბეთის მთავრობის განზრახვას დაიცვას 2009 წლის ბელგრადის პრაიდი (Belgrade Pride Blog, 2009a).

²⁴ 2009 წლის სიამაყის მარშის მხარდაჭერის წერილში ნიდერლანდების საელჩომ სერბეთში განაცხადა (Belgrade Pride Blog, 2009b): „სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული თანასწორობის პატივისცემა არ არის კონკრეტული ცხოვრების წესის ხელშეწყობა, არამედ ადამიანის ელემენტარული უფლებების პატივისცემა. ეს არის ევროპული ღირებულებების არსი“.

კითხვის ნიშნის ქვეშ შეიძლება დამდგარიყო, ორგანიზატორებმა გამოაქვეყნეს განცხადება, რომელშიც ნათქვამია (Belgrade Pride Blog, 2009d, ონლაინ), რომ:

ცხადია, რომ სიამაყის აღლუმის საკითხი ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში გასცდა ლგბტ უფლებების საკითხს. სერბეთის მთავრობამ და ყველა სახელმწიფო ორგანომ უნდა გააცნობიეროს, რომ საერთაშორისო საზოგადოების თვალში ბელგრადისკენაა მიმართული და რომ პოტენციური ძალადობა ან ჩვენი შეკრების აკრძალვას სერიოზული ზეგავლენა ექნება ევროკავშირში ინტეგრაციასთან დაკავშირებულ მიმდინარე მცდელობებზე, განსაკუთრებით სერბეთის მიზნების გათვალისწინებით შეასრულოს ყველა დარჩენილი მოთხოვნა, რომელიც მას ელოდება შენგენის ზონის უვიზო რეჟიმისკენ მიმავალ გზაზე.

მიუხედავად იმისა, რომ აღლუმისა და ევროკავშირში ინტეგრაციის კავშირზე მრავალი წყაროდან იყო მითითება, ღონისძიებამდე პრაქტიკულად 1 დღით ადრე სერბეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გადაწყვიტა არ გაეცა ბელგრადის ცენტრში პრაიდის ჩატარების ნებართვა. მათ შესთავაზეს ალტერნატიული ლოკაცია (ცენტრიდან უფრო მოშორებით), სადაც, როგორც თქვეს, მონაწილეთა უსაფრთხოება გარანტირებული იქნებოდა (Beta, 2009), მაგრამ ორგანიზატორებმა ეს წინადადება არ მიიღეს. სერბეთის სახელმწიფომ პრაქტიკულად არ დაუშვა, რომ მარში ჩატარებულიყო ისე, როგორც დაგეგმილი იყო, ვერ შეასრულა საკუთარი ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელიც რამდენიმე თვით ადრე იყო მიღებული.²⁵ ამის საპასუხოდ, ევროკომისიის დელეგაციამ, ეუთოს მისიამ სერბეთში და ევროპის საბჭოს ოფისმა გაავრცელეს განცხადება (ეუთო, 2009, ონლაინ), რომელშიც თქვეს:

სამი ინსტიტუტი ხაზს უსვამს, რომ ყველას აქვს შეკრების თავისუფლებისა და გამოხატვის თავისუფლების ფუნდამენტური უფლება, ისევე როგორც ნებისმიერი სახის დისკრიმინაციისგან დაცულობის უფლება. სახელმწიფო ხელისუფლებას აქვს პირდაპირი პასუხისმგებლობა, უზრუნველყოს ადამიანის ამ უფლებების ეფექტიანი განხორციელება. სამწუხაროდ, ამ შაბათ-კვირას მუქარა, დაშინება და შეუწყნარებლობა მბრძანებლობდა ღირსებაზე, შემწყნარებლობასა და სიამაყეზე.

თუმცა, ორი საპროტესტო მსვლელობა (მარში ძალადობის წინააღმდეგ და მოქალაქეთა პასუხი ძალადობაზე) მოეწყო 2009 წლის პრაიდის გაუქმების შემდეგ, როგორც რეაქცია ბელგრადის ქუჩებში ძალადობის ზრდაზე და საყოველთაო განცდაზე, რომ (პრაიდის შემთხვევაში) სახელმწიფომ უკან დაიხია ექსტრემისტების მუქარის წინაშე. ეს მსვლელობები ფორმით პრაიდის აღლუმის მსგავსი იყო, მაგრამ მათ არ ჰქონდათ ღია ლგბტ-თან დაკავშირებული შინაარსი. აზდეიკოვიჩი (2009) ამტკიცებს, რომ ისინი რეალურად ორგანიზებულები იყვნენ მმართველი პარტიების

²⁵ არასამთავრობო ორგანიზაცია ბელგრადის ადამიანის უფლებათა ცენტრმა საჩივარი შეიტანა სერბეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოში, რომელმაც 2 წლის შემდეგ, 2011 წლის დეკემბერში, დაადგინა, რომ ხელისუფლებამ პრაიდის მარშის ჩატარების არ დაშვებით ისე, როგორც დაგეგმილი იყო, დაარღვია კონსტიტუცია. იმავე ორგანიზაციამ 2011 წლის პრაიდის მარშის აშკარა აკრძალვის შემდეგ იმავე სასამართლოში კიდევ ერთი საჩივარი შეიტანა. ეს საჩივარი ასევე მიიღო სასამართლომ (ჟივანოვიჩი, 2011).

მიერ, რადგან მათი ახალგაზრდული ფრთები იყვნენ ჩართული მათ ორგანიზებაში. ის (Azdejković, 2009, ონლაინ) შემდეგ კითხულობს:

განა ეს მსვლელობები ძალადობის წინააღმდეგ და [ექსტრემისტული] ჯგუფების აკრძალვის მოთხოვნით ხელს შეუწყობს ძალადობის გაქრობას სერბული საზოგადოებიდან, განა ეს საკმარისი იქნება სერბეთში პრაიდის მარშის ჩასატარებლად თუ ეს ყველაფერი მხოლოდ წარმოდგენა იყო ევროკავშირის დასანახად?

მიუხედავად იმისა, რომ 2009 წელს ალლუმი არ ჩატარებულა, Gay Straight Alliance-მა (2011, გვ. 10; იხილეთ ასევე Knežević, 2014) გამოაქვეყნა ანგარიში, რომელშიც ნათქვამია, რომ „ალუმის ჩატარების საკითხი აქტუალიზებულია ევროკავშირის ინსტიტუტებში და საერთაშორისო საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევს“. მუდმივი შიდა დამაბულობის გამო, ეს ორგანიზაცია, მიუხედავად იმისა, რომ ჩართული იყო ალუმის მომზადებაში, არ შეუერთდა ლგბტ ადამიანთა უფლებების პლატფორმის შემუშავებას, რომელიც Pride-ის გაუქმების შემდეგ გამოცხადდა (Azdejković, 2009; Kožul, 2009).²⁶

2010: „სახელმწიფო პრაიდი“

ერთადერთი პრაიდის ალლუმი, რომელიც რეალურად ჩატარდა ათწლეულის მცდელობის შემდეგ და რომელიც გამოირჩეოდა აქტივისტთა შორის დამაბულობებითა და გაუგებრობებით, იყო ის, რომელიც ორგანიზებული იყო 2010 წლის ოქტომბერში Gay-Straight Alliance-ის (Gej strejt alijansa), Kvirija Centre-ის და ნოვისადში მოქმედი გეი კაცების მხარდამჭერი ჯგუფის მიერ (Knežević, 2014). ორგანიზატორებმა წამოიწყეს ფართო მედია კამპანია და მჭიდროდ ითანამშრომლეს სახელმწიფო ინსტიტუტებთან (იუსტიციის სამინისტროსთან, ადამიანისა და უმცირესობათა უფლებების დაცვის სამინისტროსთან, პოლიციასთან და ეროვნული ასამბლეასთან), რითაც მოახერხეს სერბეთის მაშინდელი პრეზიდენტის, ბორის ტადიჩის გაცხადებული მხარდაჭერის მოპოვება. ასევე, 2010 წლის 7 ოქტომბერს, ევროპარლამენტის ექვსმა წევრმა, ევროპარლამენტის ლგბტ უფლებების დაცვის ჯგუფთაშორისი გაერთიანებიდან²⁷, ღია წერილი გაუგზავნა სერბ ოფიციალურ პირებს, სადაც ნათქვამია:

²⁶ 2009 წლის ალუმის გაუქმების შემდეგ, ახალი აქტივისტური ჯგუფი - ლგბტ ფორუმი სერბეთი - გამოჩნდა სერბეთის აქტივისტურ სცენაზე. მან გამოაცხადა, რომ ის 2010 წლის ალუმს გაუკეთებდა ორგანიზებას და თავის განცხადებებში დიდწილად ეყრდნობოდა ევროპული ღირებულებების მათი ინტერპრეტაციის დისკურსს: „ბელგრადში პრაიდის მარშის ჩატარების წარუმატებელი მცდელობიდან ექვსი თვის შემდეგ, ამ ქვეყნის ლგბტ თემი ასკვნის, რომ ცვლილებებისთვის დრო მომწიფებულია. მომწიფებულია დრო, რომ მარგინალიზებულმა და დისკრიმინირებულმა ადამიანებმა მთელს სერბეთში აიღონ ბრძოლა დემოკრატიული უფლებებისა და ევროპული ღირებულებებისთვის საკუთარ ხელებში და მკაფიო პასუხი გასცენ ამ საზოგადოების პრიმიტივიზმსა და ჰომოფობიას. თანასწორობას ალტერნატივა არ აქვს“ (Belgrade Pride Blog, 2009e, ონლაინ). ეს მცირე ხნით არსებული ჯგუფი „ფანტომურ ორგანიზაციად“ ჩაითვალა ბელგრადში მოქმედი „მეინსტრიმული“ ლგბტ აქტივისტური ჯგუფების მიერ (Fonet, 2010).

²⁷ ლგბტ უფლებების დაცვის ჯგუფთაშორისი გაერთიანება არის არაფორმალური ფორუმი ევროპარლამენტის წევრებისთვის, რომელიც ემსახურება ლგბტ უფლებების გაუმჯობესებას

ცხრა წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ლესბოსელმა, გეი, ბისექსუალმა და ტრანსგენდერმა სერბეთის მოქალაქეებმა გადაწყვიტეს ქუჩაში გამოსულიყვნენ, რამაც გამოიწვია დიდი ძალადობა და საპოლიციო ძალებისგან უსაფრთხოების უზრუნველყოფის არარსებობა. ახლა დადგა დრო, კიდევ ერთხელ დავადასტუროთ სერბეთის ნება უზრუნველყოფის გამოხატვისა და შეკრების თავისუფლება მისი ყველა უმცირესობისთვის. ეს მნიშვნელოვანი მოვლენა [...] გაგზავნის მძლავრ სიგნალს, რომ ქალაქი ბელგრადი და სერბეთი იზიარებენ ევროპულ ღირებულებებს [...] მარიე კორნელისენი, ევროპარლამენტის წევრი ნიდერლანდებიდან, ოფიციალურად დაესწრება პრაიდის აღლუმს და მოუთმენლად ელის ამ მნიშვნელოვან საჯარო ღონისძიებაში მონაწილეობის მიღებას.

მეტიც, ბრიტანეთის ელჩმა სერბეთში, სტივენ უორდსვორთმა, რომელმაც 2009 წლის აღლუმის გაუქმების შემდეგ მალევე განაცხადა, რომ კარგი იქნებოდა თუ „რამდენიმე კვირაში“ კიდევ ერთხელ სცდიდნენ (Škrnjić, 2009, ონლაინ), გამოაქვეყნა განცხადება რომელშიც მან გამოხატა სოლიდარობა ლგბტ ადამიანების მიმართ და შეაქო სერბეთის მთავრობის ძალისხმევა პრაიდის ორგანიზაციის მხარდაჭერისა და ლგბტ უფლებების დაცვისთვის (Knežević, 2014; Marković, 2010). როგორც ადგილობრივი პოლიტიკოსების, ასევე უცხოელი წარმომადგენლების ფართო მობილიზება, კნეჟევიჩის (2014) მიხედვით, დაკავშირებულია სერბეთის მცდელობასთან, დააჩქაროს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი, ვინაიდან ისინი ელოდნენ ევროკომისიის კითხვარს, რომელიც აფასებს კანდიდატი ქვეყნის შესრულებულ სამუშაოს წევრობისთვის მზადებაში (Miller, 2010 წელი).

10 ოქტომბერს, პრაიდის 1000-მდე მონაწილემ 6000 პოლიციელის მიერ უსაფრთხოების უზრუნველყოფის პირობებში ბელგრადის ცენტრში მსვლელობა მოაწყო. პოლიციის ასეთი დიდი ძალების მიუხედავად, მემარჯვენე ექსტრემისტების პროტესტის შედეგად მიყენებულმა მატერიალურმა ზარალმა 1 მილიონი ევრო შეადგინა, დაშავდა 142 პოლიციელი და დააკავეს 249 ადამიანი (Savić, 2011). პრაიდი გახსნა ევროკავშირის დელეგაციის ხელმძღვანელმა სერბეთში ვინსენტ დეჟერტმა და პრაიდის მონაწილეთა უმრავლესობა შედგებოდა ევროკავშირის, ევროპის საბჭოსა და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ოფიციალური პირებისა და თანამშრომლებისგან, არასამთავრობო სექტორის მუშაკებისა და რამდენიმე ადგილობრივი ლგბტ ადამიანისა და მხარდამჭერისგან. მარეკ მიკუსი (2011, გვ. 836), ანთროპოლოგი, რომელიც ღონისძიებას დაესწრო, წერს:

ინგლისურ ენაზე საკმაოდ პროგნოზირებად და ფორმალურ გამოსვლებში უცხოელმა სტუმრებმა არაერთხელ ახსენეს ევროკავშირი, რომლის დროშის დანახვა ცისარტყელასა და ბრიტანეთის დროშებთან ერთად შეიძლებოდა, მაგრამ არა სერბეთის დროშებთან. ლგბტ მოძრაობის გლობალიზებული იკონოგრაფიითა და იაფფასიანი დასავლური პოპით გარშემორტყმული, ვგრძნობდი რომ ერთადერთი რაც ადგილობრივი იყო აღლუმზე, ეს

მილიტარიზებული, ძალადობრივი პირობები იყო, რომელშიც ის ტარდებოდა. თუ მომხსენებლებმა ახსენეს სერბეთი, ისინი ძირითადად უარყოფითად აღნიშნეს, როგორც ადამიანის უფლებების პატივისცემის ევროპული ნორმებიდან გადახრის ადგილი, რომლის გამოსწორებასაც აღლუმი იწყებს.

მიუხედავად იმისა, რომ ამდენი წლის აქტივისტური მალისხმევის შემდეგ პრაიდი „შედგა“, ის დალაქავებული იყო იმით, რასაც ბევრი აქტივისტი აღიქვამდა, როგორც „სამოქალაქო სექტორის“ ზოგიერთი სეგმენტის ზედმეტად მჭიდრო პოლიტიკურ ალიანსს სახელმწიფოსთან („სახელმწიფო პრაიდი“, Mikuš, 2011), რის გამოც დაიკარგა „ბმა“ სერბეთის/პოსტ-იუგოსლავიის ზოგიერთ სუბვერსიულ აქტივისტურ ელემენტებთან (Bilić, 2012). ამრიგად, ერთ-ერთ აქტივისტურ დისკუსიაში, რომელიც მანიფესტაციის შემდეგ გაიმართა, ერთმა დიდი ხნის ფემინისტმა აქტივისტმა თქვა:

მეჩვენება, რომ სერბეთის სოციალისტური პარტია და სერბეთის პროგრესული პარტია გეგმავენ ჩვენი ფორმების მიტაცებას, დაცალონ შინაარსისგან, გამოფიტონ პოლიტიკური შინაარსისგან... და შემდეგ უბრალოდ გადააგდონ... ამ ყველაფრის ერთდერითი მიზანია დააკმაყოფილონ "სტანდარტები" [ევროკავშირის პირობები]... ამას არაფერი აქვს საერთო ჩვენს საჭიროებებთან, მაგრამ ეს არის ის, რასაც მათგან ითხოვენ... მათ სთხოვენ კოსოვოს და მათ სთხოვენ ამას (პრაიდს)...²⁸

ამასთან დაკავშირებით, 2010 წლის პრაიდის მარშის შემდეგ, ბევრმა ადგილობრივმა ინსტიტუტმა და პოლიტიკოსმა კვლავ დაიწყო ლგბტ ორგანიზაციებისგან დისტანცირება. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო იმ გზით, რომლითაც ადამიანისა და უმცირესობათა უფლებების სამინისტრომ სვეტოზარ ჩიპლიჩის ხელმძღვანელობით, რომელმაც პირადად მიმართა აღლუმის მონაწილეებს, გამოტოვა ლგბტ ორგანიზაციები თავისი საქმიანობიდან მარტის შემდგომ პერიოდში (Knežević, 2014; Savić, 2011). როგორც კნეჟევიჩი (2014, გვ. 354) ამტკიცებს, ამგვარი მოპყრობა აჩენს საფიქრალს, იყო თუ არა 2010 წლის პრაიდი უფრო მეტი, ვიდრე „ევროკავშირის მოთხოვნებისა და კრიტერიუმების ფორმალური შესრულების ინტერესებიდან გამომდინარე ერთჯერადი, პრაგმატული გავარდისფრების“²⁹[pink-washing] ნიმუში“.³⁰

²⁸ მაღლიერი ვარ მილოშ უროშევიჩის, Women in Black-ის აქტივისტის, რომელმაც მომაწოდა ამ ჯგუფის მიერ 2010 წლის ოქტომბერში ორგანიზებული დისკუსიის ტრანსკრიპტი.

²⁹ გავარდისფრება [pinkwashing] არის ტერმინი, რომელიც გამოიყენება სტრატეგიის აღსაწერად, სადაც ლგბტ მეგობრულობა რეკლამირებულია, როგორც სხვა ნაკლებად მისაღები პრაქტიკის შენიღბვის საშუალებად.

³⁰ ზოგიერთმა ხორვატმა ლგბტ აქტივისტმა მსგავსი წუხილი გამოხატა ზაგრების პრაიდის აღლუმებთან დაკავშირებით. ამგვარად, შიმიჩი (2011, ონლაინ) ამტკიცებს: „ბოლო სამი პრაიდი გარკვეულწილად „წყნარი“ იყო (უფრო მეტი პოლიცია, ნაკლები ძალადობა, ნაკლები სკანდალები) - მაგრამ ისინი განსაკუთრებით საინტერესოა უფლებებისა და აღიარებისთვის ბრძოლაში აქტივისტების მიერ პრო-ევროკავშირული რიტორიკის გამოყენების გამო. 2008 წლის პრაიდზე ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ „ყოველი თავდასხმა ლგბტ-ქ ადამიანზე არის თავდასხმა ცივილიზებულ და ევროპულ, დემოკრატიულ და თავისუფალ ხორვატულ საზოგადოებაზე“. ასევე, რამდენჯერმე აქტივისტებმა მოუწოდეს საერთაშორისო ორგანიზაციებს მიეწერათ ხორვატიის მთავრობის წარმომადგენლებისთვის, რათა მათზე მოეხდინათ ზეწოლა, და როგორც ჩანს, ბევრმა აქტივისტმა გადაწყვიტა, რომ ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ

ასეთი მოსაზრებები კიდევ უფრო დამაჯერებელია იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ 2010 წლის ბოლოს, ბორის მილიჩევიჩი, Gay Straight Alliance-ის (2010 წლის მთავარი ორგანიზატორი) ერთ-ერთი დამფუძნებელი, შეუერთდა სერბეთის სოციალისტური პარტიის საბჭოს, რომელმაც ღიად გეი და ლგბტ აქტივისტის მიღებით სცადა თავი წარმოეჩინა თანამედროვე პროევროპულ და მემარცხენე პოლიტიკურ პარტიად. სერბეთის სოციალისტური პარტიის წარსულიდან გამომდინარე, რომელსაც 1990-იან წლებში სლობოდან მილოშევიჩი ხელმძღვანელობდა, მილიჩევიჩის შესვლას მის ზოგიერთ უმაღლეს სტრუქტურაში არ მოჰყვა ლგბტ აქტივისტთა „თემის“ მოწონება.³¹

2011-2013: აკრძალვების წყება

ძალადობის დამატებითი ტალღის შიშითა და სურვილით არ გაეღიზიანებინათ ამომრჩევლები ამ „პროვოკაციული“ საკითხით, ხელისუფლებამ მომდევნო წლებში ალლუმის აკრძალვა დაიწყო, ყოველთვის ღონისძიების ჩატარებამდე ერთი ან ორი დღით ადრე. თუმცა, მედია კამპანიები, აქტივისტური დამაბულობები და ურთიერთბრალდებები უცვლელად გაგრძელდა. გარდა ამისა, 3 წლის განმავლობაში ევროკავშირი დაჟინებით მოითხოვდა ამ მანიფესტაციის ჩატარებას, რეგულარულად რთავდა ინფორმაციას პრაიდის ალუმების შესახებ გაწევრიანების წლიურ ანგარიშებში და აძლიერებდა ბმას ევროკავშირში გაწევრიანებასა და პრაიდის მარშს შორის.³² ამრიგად, 2011 წლის აკრძალვის შემდეგ, ევროპარლამენტის წევრმა ულრიკე ლუნაჩეკმა (ინტერჯგუფი, 2012, ონლაინ), განაცხადა:

გაწეული ლობირება მძლავრი და სასარგებლო იყო მათი ბრძოლებისთვის. თუმცა, მონეტის მეორე მხარეს არის ეჭვი ამ სტრატეგიების ეფექტურობის შესახებ გამოიწვიონ გრძელვადიანი ცვლილებები, რადგან გამორიცხული არაა ევროკავშირში შესვლის შემდეგ ხორვატია ახალი პოლონეთი გახდეს. შესაძლებელია, რომ წევრად გახდომის შემდეგ ხორვატიის მთავრობაზე აღარ იყოს ზეწოლა ან პოლიტიკური ნება რათა აღსრულდეს მისი უკვე არსებული კანონმდებლობა ან შეიქმნას სხვა სექსუალური უფლებები, რომლებიც ჯერ არ არის მინიჭებული ხორვატიაში ან თუნდაც ევროკავშირში.

³¹ 2013 წელს Gay Straight Alliance-მა დააწესა ჯილდო „დეუგა“ (ცისარტყელა), რომლითაც ის აღიარებს სხვადასხვა ადამიანების წვლილს ჰომოფობიასთან და ტრანსფობიასთან ბრძოლაში და ლგბტ ადამიანების უფლებების დაცვასა და ხელშეწყობაში სერბეთში. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველი ჩანაფიქრით დაჯილდოება უნდა მომხდარიყო სხვადასხვა ორგანიზაციების, ინსტიტუტებისა და ინდივიდების ფართო კონსენსუსის საფუძველზე, ჯილდო საკმაოდ საკამათო გახდა მას შემდეგ, რაც სახელმწიფოს წარმომადგენლებს ის ზედიზედ სამჯერ გადაეცა: პირველი - შინაგან საქმეთა სამინისტროს სათემო პოლიციის დეპარტამენტს (2012/2013), შემდეგ ტანია მიშჩევიჩის, სერბეთის რესპუბლიკის ევროკავშირში გაწევრიანების მოლაპარაკებების ჯგუფის ხელმძღვანელს (2013/2014) და ბოლოს, იადრანკა იოკსიმოვიჩის, უპორტუგულო მინისტრს სერბეთის მთავრობაში (2014/2015). ამ თანმიმდევრობამ ლგბტ „თემის“ ზოგიერთ სეგმენტში იმედგაცრუება გამოიწვია, რომლებმაც Gay Straight Alliance-ი ჰომონაციონალიზმში დაადანაშაულეს (Maljković, 2014; აგრეთვე იხილეთ, Gligorijević, 2015).

³² მსგავსად, პირველი პრაიდის მარშის კონტექსტში, რომელიც 2011 წელს სპლიტში, ხორვატიაში ჩატარდა, ჰოლანდიის ელჩი ხორვატიის ევროკავშირში გაწევრიანების კონტექსტში ძალადობას შეეხო და თქვა: „ეს ღონისძიება სპლიტში ნამდვილად ამოვარდა მისი ჩარჩოდან. ნიდერლანდებში მსგავსი ღონისძიებები თითქმის შეუძენველად ტარდება. ადამიანის ფუნდამენტური უფლებები არის 23-ე თავის ნაწილი (acquis communautaire-ის), რომლის დახურვა ჯერ კიდევ არ არის დასრულებული. თუმცა, მაშინაც კი, როცა ის დაიხურება, უნდა არსებობდეს კონტროლი იმაზე თუ რას აკეთებს ხორვატია ადამიანის უფლებების სფეროში. სპლიტში მომხდარმა ღონისძიებამ აჩვენა, რომ ასეთი მონიტორინგი ნამდვილად აუცილებელია. ყველა ნორმალურ დემოკრატიულ ქვეყანაში ადამიანებს

მე ძალიან ვწუხვარ, რომ სერბეთის მოქალაქეები კვირას ვერ შეძლებენ მსვლელობას შემწყნარებლობის, მიმღებლობისა და თანასწორობისთვის. სერბეთის ხელისუფლება ვალდებულია იზრუნოს ყველას უსაფრთხოებაზე, მაგრამ ღრმად შემაშფოთებელია რომ ქვეყნის ხელმძღვანელობას, რომელიც ესწრაფვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსსა და წევრობას — რასაც მხარს უჭერს ევროპარლამენტის უმრავლესობა — არ შეუძლია უზრუნველყოს უსაფრთხოება ყველა მოქალაქისთვის.

მსგავსად, 2012 წლის აკრძალვის შემდეგ,³³ მრავალი კრიტიკა გამოითქვა ევროპული ინსტიტუტების ოფიციალური პირების მიერ.³⁴ ამრიგად, ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა ტორბიორნ იაგლანდმა განაცხადა, რომ ის იყო „გაკვირვებული და იმედგაცრუებული, რომ Belgrade Pride-ის ღონისძიება კვლავ აიკრძალა. [...] სერბეთს უნდა შეეძლოს ისეთი ღონისძიების დაცვა, რომელიც ჩვეულებრივი მოვლენაა თანამედროვე დემოკრატიებში“ (DC101, 2012, ონლაინ).³⁵ მარიე კორნელისენმა და კეიტ ტეილორმა (ინტერჯგუფი, 2012, ონლაინ) ევროპარლამენტის ორმა წევრმა თქვეს, რომ

ჰომოფობებმა გაიმარჯვეს ფართომასშტაბიანი არეულობისა და ძალადობის მუქარით. რატომ აგრძელებს სერბეთი მაღალი რისკის მქონე საფეხბურთო მატჩების დაშვებას, სადაც უზრუნველყოფს პოლიციის მობილიზებას ხულიგნებისგან დასაცავად, თუმცა არა ჰომოფობებისგან? მსგავს გადაწყვეტილებას მაღალი ფასი უნდა დაედოს სერბეთისთვის ევროკავშირთან მოლაპარაკებების გახსნის შესახებ გადაწყვეტილებისას.

2013 წლის პრაიდის აკრძალვის შემდეგ,³⁶ ევროპარლამენტის პრეზიდენტმა მარტინ შულცმა თავის Twitter-ზე დაწერა: „დასანანია რომ გეი ადლუმი სერბეთში მესამედ

აქვთ უფლება მოაწყონ დემონსტრაცია საკუთარი უფლებებისთვის და მათ არავინ უნდა ესროლოს ქვები, ჭიქები ან ბოთლები“ (Večernji, 2011, ონლაინ).

³³ 2011–2013 წლებში აკრძალვა მხოლოდ პრაიდის მარშებს ეხებოდა, ე.წ. სიამაყის კვირეულის ფარგლებში ორგანიზებული სხვა კულტურული აქტივობები კი დაგეგმილის მიხედვით განვითარდა. ამრიგად, 2012 წელს ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს სიამაყის კვირეულის პროგრამაში შეეყვანათ შვედი ფოტოგრაფის ელიზაბეტ ოლსონ უოლინის გამოფენა სახელწოდებით "Ecce Homo", სადაც ერთ-ერთ ფოტოზე გამოსახულია ტრანსგენდერი ან კროსდრესერი იესო ლგბტ მოციქულების გარემოცვაში. პრაიდის ორგანიზატორების ამ განსაკუთრებით საკამათო გადაწყვეტილებამ კიდევ უფრო განარისხა სერბეთის საზოგადოებისა და სერბეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ზოგიერთი სეგმენტი. მათ, ვინც გამოფენის გახსნას ესწრებოდა, 2000 პოლიციელი იცავდა (Anderson-Minshall, 2012).

³⁴ 2012 წლის მარშს ასევე მხარი დაუჭირა ევროპის გეი პოლიციის ასოციაციამ (Naslovi, 2012).

³⁵ თუმცა, ევროკავშირის ეს კამპანია არ იყო ერთსულოვანი. მაგალითად, Reuters-ისთვის გაკეთებულ განცხადებაში (Morgan, 2012, ონლაინ), შტეფან ფულემ, მაშინდელმა კომისარმა ევროკავშირის გაფართოების საკითხებში, თქვა, რომ ის ასევე წუხს ექსტრემისტების მუქარის თაობაზე და დასძინა, რომ მიუხედავად იმისა რომ თანაბარი უფლებები „ევროპული პროექტის ერთ-ერთი ძირითადი ღერძია, ის მხოლოდ ერთი ელემენტია და განსახილველია უფრო მნიშვნელოვანი საკითხებიც“.

³⁶ 2013 წლის Belgrade Pride-ის აკრძალვის შესახებ პროგნოზის კომენტარებისას, სვეტლანა ლუკიჩმა, ონლაინ პორტალ Peščanik-ის ერთ-ერთმა რედაქტორმა დაწერა: „უკვე 13 წელია, რაც ჩვენ არ შეგვიძლია მივიღოთ ყველაზე ელემენტარული რამ - სიამაყის ადლუმი. ვოიაჯერი უკვე გაემგზავრა ვარსკვლავთშორის სივრცეში, მაკედონია მოაგვარებს სახელის პრობლემას და თურქეთი ევროკავშირში

აიკრძალა“ (სერბეთის ხმა, 2013, ონლაინ). 2013 წლის ბელგრადის პრაიდის აღლუმის საორგანიზაციო კომიტეტის პრესკონფერენციაზე, ევროკავშირის მისიის ხელმძღვანელმა სერბეთში მიშელ დავენპორტმა განაცხადა, რომ ქვეყანამ ხელიდან გაუშვა შესაძლებლობა გამოეჩინა ადამიანის უფლებების პატივისცემა (B92, 2013), ხოლო შვედმა ევროკავშირის მინისტრმა ბირგიტა ოლსონმა, პრაიდის მარშის ერთ-ერთმა დაგეგმილმა გამომსვლელმა თქვა, რომ სერბეთის მთავრობამ არ აჩვენა, რომ „მათ სჯერათ ადამიანის ძირითადი უფლებების, როდესაც ისინი უახლოვდებიან ევროკავშირში გაწევრიანების მოლაპარაკებებს“ (Sveriges Radio, 2013, ონლაინ). განსაკუთრებით აქტიური იყო პრაიდის მარშის ორგანიზების მცდელობების თვალყურის დევნებაში და მხარდაჭერაში, ასევე სერბეთის მთავრობის გადაწყვეტილებების დაგმობაში, ევროპარლამენტის მომხსენებელი სერბეთის საკითხებში იელკო კაცინი. ამრიგად, 2013 წლის აკრძალვის შემდეგ, კაცინმა განაცხადა:

პრაიდის აღლუმის აკრძალვა სერბეთის მთავრობის დამღუპველი გადაწყვეტილებაა. ეს არის არასწორი გადაწყვეტილება არასწორ დროს არასწორ ადგილას. ჩვენ ვამზადებთ ანგარიშს, რომელშიც უნდა დავგმოთ ეს გადაწყვეტილება. სადაზვერვო სამსახურების მოხმობა (უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საფრთხეების კონტექსტში) არ არის ევროკავშირის არც ერთი დემოკრატიული ქვეყნის პრაქტიკა. პრაიდი სერბეთის ინსტიტუტების ერთ-ერთი მთავარი გამოცდაა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საფრთხე აღარ შეიძლება იყოს საბაზი.

ეს „ევროპული ზეწოლა“ იმდენად გროვდებოდა, რომ ბელგრადში დაფუძნებულმა ერთ-ერთმა ლგბტ ორგანიზაციამ, Gay Lesbian Info Centre-მა, გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც მოუწოდებდა ევროკავშირს შეწყვიტოს სერბი ლგბტ მოსახლეობის გამოყენება ევროინტეგრაციის პროცესში ვაჭრობის მასალად. მათ თქვეს, რომ ასეთი მხარდაჭერა რეალურად სტიგმატიზებას უკეთებდა ლგბტ მოსახლეობას, როგორც დამნაშავეს სერბეთის ევროკავშირში ვერ გაწევრიანების გამო და რომ ამან ჰეტეროსექსუალი მოსახლეობა კიდევ უფრო მეტად აქცია მათი ჰომოსექსუალური თანამოქალაქეების წინააღმდეგ. მათ (GLIC, 2013, ონლაინ) თქვეს:

Gay Lesbian Info Centre ითხოვს, რომ ლგბტ მოსახლეობა აღარ გამოიყენონ სერბეთის ევროკავშირში გაწევრიანების პირობად, რადგან ასეთი პრაქტიკა არათუ არანაირ შედეგს არ გამოიღებს, არამედ რეალურად ხელს უწყობს სერბეთში ლგბტ მოსახლეობის მიმართ ჰომოფობიისა და მტრობის გაზრდას. [...] მიგვაჩნია, რომ არასწორია სერბეთის მოქალაქეების ნეგატიურ ემოციების სამიზნედ ლგბტ მოსახლეობის კიდევ უფრო მეტად გახდომა და სწორედ ამას

შევა იქამდე, ვიდრე სერბეთი მოახერხებს სიამაყის აღლუმის ორგანიზებას“ (Lukić, 2013, ონლაინ). სერბეთის სავარაუდო „ჩამორჩენილობის“ კრიტიკა, რომელიც ზოგჯერ საკმაოდ ხელაღებული და „თვით-ბალკანიზირებულია“ (იხ. კიოსევი, 2011), ურბანული „ჰაბიტუსის“ ხშირი გამოვლინებაა, რომელიც დაკავშირებულია ე.წ. სხვა სერბეთთან (Druga Srbija). (Bilić, 2012; Bilić & Stubbs, 2015). ასეთი მსჯელობა მოგვაგონებს კიდეკელის (1996, ონლაინ) ცნებას „კატეგორიული ორიენტალიზმი“: „კატეგორიულ ორიენტალიზმში სუბიექტები ინარჩუნებენ თავიანთ ხმებს, ოღონდ იმ ხმებს რომლებიც აუფასურებენ მათ ცხოვრებას — ან სულ მცირე, იმ ასპექტებს რომლებიც სახელმწიფოს მიერაა ორგანიზებული — ყველაზე დიდი სარწმუნოება აქვთ“.

აკეთებს იელკო კაცინის განცხადებები. ასეთი განცხადებების გამო ლგბტ მოსახლეობას ასახელებენ დამნაშავედ იმაში, რომ სერბეთი ევროკავშირში არ შედის. ჩვენ ვთხოვთ კაცინს და ევროკავშირის სხვა ოფიციალურ პირებს, მომავალში უკეთ დაფიქრდნენ მათი განცხადებების შედეგებზე - თუ ევროკავშირი არ დაგვეხმარება სერბეთში ლგბტ ადამიანების სტატუსის გაუმჯობესებაში, ყოველ შემთხვევაში, მან არ უნდა გაგვირთულოს საქმე. ლგბტ მოსახლეობა სერბეთში იმედგაცრუებულია იმით, რომ ის მუდმივად არის პოზიციონირებული მემარჯვენეებსა და მემარცხენეებს შორის, ევროკავშირსა და სერბეთს შორის, უფლებადამცველებსა და ხულიგნებს შორის და რომ ის ერთადერთია, ვინც ამ "თამაშში" ზარალდება. ეს მოსახლეობა განსაკუთრებით იმედგაცრუებულია იმით, რომ ისინი, ვინც დეკლარაციულად ლგბტ უფლებების მომხრენი არიან, საერთოდ არ ითვალისწინებ იმას თუ რას შედეგები მოაქვს მათ ქმედებებს თავად ლგბტ თემისთვის.

ევროპეიზაციის დაძაბულობის კონტექსტში სერბეთში და უფრო ფართო პოსტ-იუგოსლავიის სივრცეში, არ არის უგულვებელსაყოფი რომ იელკო კაცინი სლოვენიის ოფიციალური პირია. პეტროვიჩი (2012) ამტკიცებს, რომ სანამ სლოვენია ცდილობს იუგოსლავიის მემკვიდრეობისგან დისტანცირებას და ყოფილ ფედერაციასთან მისი მიკუთვნებულობის დაფარვას, მისი ოფიციალური პირები ხშირად წარმოადგენენ მას, როგორც ქვეყანას, რომელიც კარგად იცნობს რეგიონს და შეუძლია მას ევროკავშირის გზაზე დაეხმაროს. ამასთან დაკავშირებით, შეიძლება დავინახოთ, თუ როგორ აირეკლება კავშირის პატერნალისტური მიდგომა ზოგადად პოსტიუგოსლავური სივრცის მიმართ, თავად ამ სივრცეში ბაკიჩ-ჰაიდენის (1995) კონცეფციის "ერთმანეთში ჩალაგებული ორიენტალიზმების" [nested orientalisms] ხაზით.³⁷

უფრო მეტიც, GLIC-ის განცხადებამ მიუთითა იმედგაცრუებაზე, რომელსაც განიცდის სერბეთში ლგბტ მოსახლეობა, პრაიდის მარშების დაჟინებით და განმეორებითი წარუმატებლობის გამო. მაგალითად, გაზეთ „პოლიტიკის“ ვებ-გვერდზე ონლაინ დისკუსიისას ერთმა კომენტატორმა მიმართა გორან მილეტიჩს, პრაიდის დიდი ხნის ორგანიზატორს³⁸ და თქვა:

აქამდე ჩვენი პრობლემებით მეტ-ნაკლებად ნორმალურად ვცხოვრობდით. ჩვენ შევეჩვიეთ მათ. აბა, ვის არ აქვს ამა თუ იმ ტიპის პრობლემა ამ ქვეყანაში თავისი თავისებურებებისა თუ განსხვავების გამო? საქმე ისაა, რომ ორიოდე წლის წინ გვყავდა მეგობრებიც და თანადგომაც, მაგრამ ახლა თითოეულმა ჩვენგანმა უნდა გაამართლოს თქვენი ეს აღლუმი, უნდა ვთქვათ, რომ ეს არ გვჭირდება, ხოლო ხალხს სულ უფრო ვშოკავთ [...] აქამდე არაფერი უსიამოვნო არ

³⁷ ერთმანეთში ჩალაგებული ორიენტალიზმები [nested orientalisms] არის კონცეფცია, რომელიც ასახავს ვითომდა ჩამორჩენილობისა და პრიმიტიულობის გრადაციას დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ გადაადგილებისას (ამ შემთხვევაში, პოსტიუგოსლავიის სივრცეში). იხილეთ, ამასთან დაკავშირებით, კაჯინიჩის თავი ამ ტომში, ისევე როგორც Melegh (2006).

³⁸ ზედიზედ მესამე აკრძალვის საპასუხოდ, აქტივისტებმა გამოიყენეს SMS, რათა ორგანიზება გაეკეთებინათ შეკრებისთვის ეროვნული ასამბლეის წინ (ე.წ. ღამის პრაიდი) 2013 წლის 20 სექტემბერს, გვიან საღამოს. ამ ღონისძიებაში 200-მდე ადამიანი მონაწილეობდა და ინციდენტების გარეშე ჩაიარა (Blic, 2013).

შემმოხვევია სერბეთში, მაგრამ ვშიშობ რომ თქვენ ეს შეცვალეთ თქვენი აგრესიული პოლიტიკით.

2013 წლის მარტის აკრძალვიდან რამდენიმე თვის შემდეგ, ბელგრადში დაფუძნებულმა ქვიარ კვლევების ცენტრმა ჩაატარა 4 თვიანი კვლევა სერბეთში ლგბტ მოსახლეობის დამოკიდებულების შესახებ (Stojaković, 2014). მან დაადგინა, რომ 15 წლიანი ინტენსიური აქტივიზმის შემდეგ, ძალადობა და მისდამი შიში, ისევე როგორც ელემენტარული უსაფრთხოების მძაფრი განცდა, გამოარჩევდა ლგბტ ადამიანების ცხოვრებას. უფრო კონკრეტულად, გამოკითხულთა 36% თვლის, რომ პრაიდს უფრო მეტი ზიანი მოაქვს, ვიდრე სარგებელი, ხოლო 42% ეთანხმება, რომ „პრაიდის აღლუმი ხელს უწყობს ლგბტ ადამიანების მიმართ შიშისა და სიძულვილის ზრდას“ (Stojčić, 2014, გვ. 147). ამ კვლევამ ასევე დაადგინა ამბივალენტური დამოკიდებულება ლგბტ ორგანიზაციების მიმართ. ერთი მხრივ, ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ლგბტ ადამიანების გაძლიერებაში, განათლებასა და ინფორმირებაში და საკმაოდ დიდი ნაწილისთვის ისინი განასახიერებენ ერთგვარ უსაფრთხო სივრცესა და მიმღებლობას. მეორე მხრივ, ისინი ხშირად განიხილებიან როგორც დაქსაქსულები, არაგამჭვირვალეები, არასაკმარისად ღიები ლგბტ ადამიანების ჩართვისთვის და არ არიან მედიაში წარმოდგენილები (გარდა იმ პერიოდისა, როცა პრაიდია ორგანიზებული).

მეორე მხრივ, კითხვაზე მიიღებდა თუ არა მონაწილეობას აღლუმში, თუ ის ზედიზედ მესამედ არ აიკრძალებოდა, მაშინდელმა პრემიერმა და შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვინც ამავედროულად იყო სერბეთის სოციალისტური პარტიის პრეზიდენტი, ივიცა დაჩიჩმა, აღნიშნა, რომ პრაიდის ჩატარება იქნება:

კარგია სერბეთისთვის, რადგან ევროკავშირმა ეს მოითხოვა... ნუ ვიტყვით შემდეგ, რომ არ მოუთხოვიათ, მათ მოითხოვეს... და ეს თუ მოხდა, ჩვენ აუცილებლად მივიღებთ გაწევრიანების მოლაპარაკებების დაწყების თარიღს იანვარში... მაგრამ, მეორე მხრივ, კიდევ უფრო სამწუხარო იქნება, თუ ძალადობა, რომელიც 2010 წელს გამართულ აღლუმზე მოხდა, განმეორდება... მე ვიცი, რომ ყველას კონსტიტუციური უფლებაა გამოხატოს თავისი მრავალფეროვნება, მაგრამ ჩემი უფლებაა იქ არ წავიდე. არ უნდა გადავვარდეთ მეორე უკიდურესობაში და ყველასთვის თავის მოწონება დავიწყოთ... რატომ უნდა მოვაწონოთ თავი ვინმეს? რა უნდა გავაკეთო ახლა, გავხდე გეი, რომ ყველაფერი პროევროპული იყოს (B92, 2013, ონლაინ)?

ეს განცხადება გვიჩვენებს პოლიტიკოსის ღრმად ჰომოფობიურ დამოკიდებულებას, რომელიც ფორმალისტურადაა „ევროპული ღირებულებების“ ერთგული და გაქედილია ერთი მხრივ, კონსერვატორ ამომრჩევლებსა და მეორე მხრივ, იმ ზეწოლას შორის რომ თავიდან აიცილოს ევროკავშირის დაფინანსებაზე ფუნდამენტურად დამოკიდებული ღარიბი ქვეყნის საერთაშორისო იზოლაცია.

2014: მორიგი „სახელმწიფო პრაიდი“?

2014 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, სერბეთის პროგრესულმა პარტიამ შექმნა კოალიცია სერბეთის სოციალისტურ პარტიასთან, ხოლო ალექსანდრ ვუჩიჩი

გახდა ახალი პრემიერ მინისტრი, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს სერბეთი მყარად განათავსოს ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე. ამ ძალისხმევის კონტექსტში მან ისაუბრა 2014 წლის პრაიდის მარშის მომზადებაზე მხოლოდ უსაფრთხოებისა და სამართლებრივი ნორმების პატივისცემის კუთხით:

მე პატივს ვცემ სახელმწიფოს კონსტიტუციურ ვალდებულებებს და ჩემი მოვალეობაა ყველასთვის უზრუნველვეყო უსაფრთხოება და დაცულობა. ჩემი დემოკრატიული უფლებაა არ დავესწრო ამ აღლუმს და არც განვიხილავ ასეთ შესაძლებლობას (ne pada mi na pamet). მსვლელობა მონაწილეობა არ შემოიძლია, უკეთესი საქმეები მაქვს გასაკეთებელი... მაგრამ უკეთესიც რომ არაფერი მქონდეს გასაკეთებელი, მაინც არ წავიდოდი. ეს ჩემი არჩევანია (როგორც ციტირებულია S. Č., 2014, ონლაინ).

2014 წლის პრაიდის მარში 28 სექტემბერს ჩატარდა, რომელშიც 7000 პოლიციელი, ჯავშანტექნიკა და პოლიციის ვერტმფრენი 1000-მდე მონაწილეს იცავდა. ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ მაიკლ დევენპორტი, ევროკავშირის ელჩი სერბეთში, ჰაინც ვილჰელმი, გერმანიის ელჩი, ასევე მაიკლ კირბი, აშშ-ს ელჩი (ბეტა, 2014 წ.). პრაიდისადმი მიმართვისას, დევენპორტმა თქვა, რომ "ძალიან კარგია რომ ეს აღლუმი გაიმართა. ის აგზავნის ძლიერ მესიჯს ყველასთვის, განსაკუთრებით ლგბტ თემისთვის, მაგრამ ასევე მესიჯს მათთვის, ვინც იყენებს სიძულვილის ენას, რომ ასეთი ქცევა სერბეთში მიუღებელია" (Birn, 2014, ონლაინ). ასეთი მჭიდრო კავშირი ევროკავშირსა და სიამაყის მარშს შორის ასევე განიხილა ერთ-ერთმა ორგანიზატორმა გორან მილეტიჩმა (როგორც ციტირებულია პეტროვიჩთან, 2014, ონლაინ):

ის, რომ პრაიდის ერთ მონაწილეზე ხუთი-ექვსი პოლიციელი მოდიოდა, არ არის კმაყოფილების მიზეზი. ეს იყო ერთგვარი გეტო და ჩვენ ვერ დავკმაყოფილდებით ასეთი რამით. [სახელმწიფომ] იპოვა თავისი ინტერესი პრაიდის ორგანიზებისთვის და მისი მონაწილეების დასაცავად. ისინი მიხვდნენ რომ სახელმწიფოს შეუძლია სარგებელი ნახოს, თუ პრაიდი ნორმალურად ჩატარდება, ზუსტად ისე, როგორც ეს დღეს მოხდა. რა თქმა უნდა, საბოლოო ჯამში არის რაღაც ბმა ევროკავშირთან, მაგრამ საკითხი ასე წინა წლებშიც იდგა და პრაიდი მაინც აკრძალული იყო.

მიუხედავად იმისა, რომ 2014 წლის მარში საყოველთაოდ მოიწონეს ევროკავშირის წრეებში, ის მაინც არ შეესაბამებოდა ადგილობრივი ლგბტ თემის საჭიროებებსა და მოლოდინებს. ბელგრადის ლგბტ აქტივისტების ჯგუფის IDAHO-ს³⁹ ერთ-ერთი წევრის სიტყვებით (Marinković, 2015, ონლაინ; იხილეთ ასევე Marks21, 2014):

თავად ბელგრადის სიამაყის მარშის პრობლემატიკას, ორგანიზატორის ფარული პოლიტიკის, უაზრო პოლიტიკური მოთხოვნების, მთელი წლის განმავლობაში მათი არარსებობის, სეზონური ოპორტუნიზმისა და

³⁹ IDAHO არის ბელგრადში მოქმედი ხელოვანთა და აქტივისტთა ჯგუფი, რომელიც ემსახურება ლგბტ ხილვადობის გაზრდას ხელოვნებისა და კულტურის მეშვეობით. ჯგუფი დაარსდა 2013 წელს და მოქმედებს ბელგრადის პრაიდის მარშების დაგეგმვაში ჩართული „მეინსტრიმ“ აქტივისტური ორგანიზაციების ალტერნატივად.

ორგანიზატორის ლგბტ თემისგან და ლგბტ ადამიანების ყოველდღიური რეალობისგან სრულ მოწყვეტილობაში ჩაღრმავების გარეშე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ Belgrade Pride March 2014-მა საერთოდ არ მოიტანა რაიმე დადებითი სოციალური ცვლილება. აშკარაა, რომ ეს ყველაფერი ყალბი იყო. გარდა ამისა, ბელგრადის პრაიდის აღლუმის მაგალითი გამოიყენეს ეუთო/ოდირის კონფერენციაზე შეკრების თავისუფლების შესახებ, როგორც კარგი პრაქტიკის სახე, უგულვებელყვეს სერბეთში ლგბტ ადამიანების და შეკრების თავისუფლების გაუარესებული ზოგადი მდგომარეობა. ყალბი იმ გაგებით, რომ ეს ორგანიზებული იყო მხოლოდ იმის საჩვენებლად, რომ სერბეთს როგორც ქვეყანას, შეუძლია შეასრულოს ისეთი უფროსის მოთხოვნები, როგორიცაა ევროკავშირი ან ნებისმიერი სხვა საერთაშორისო ორგანიზაცია, ღვთაება, რომლის ნაწილად ყოფნა ჩვენს ქვეყანას ძალიან უნდა. ესაა თავის მოტყუება, ძვირფასო ხალხო.

2015: ლესბოსური აღლუმი, ტრანს პრაიდი, ბელგრადის პრაიდი

2014 წლის მარტის შემდეგ, ორგანიზაცია Belgrade Pride გახდა ევროპული პრაიდის ორგანიზატორთა ასოციაციის წევრი⁴⁰ და გამოაცხადა რომ 2015 წლის პრაიდის კვირეული ჩატარდება 20-დან 28 სექტემბრამდე. მოსალოდნელია, რომ ევროკავშირის ინსტიტუტები და წარმომადგენლები კვლავ გაუგზავნიან სიგნალს სერბეთის მთავრობას, რომ მარშის დაშვება და მხარდაჭერა კარგი იქნება ქვეყნის „ევროპული მომავლისთვის“, თუმცა განხეთქილებები ლგბტ აქტივისტთა „თემის“ შიგნით და, ალბათ, ასევე თავად ლგბტ მოსახლეობაში, ჯერ კიდევ საკმაოდ ღრმაა. ეს აშკარაა, მაგალითად, იმ ფაქტიდან, რომ 2015 წლის 19 აპრილს გაიმართა ლესბოსელთა მარში, რომელიც ორგანიზებული იყო დამოუკიდებელ აქტივისტთა ჯგუფის მიერ რამდენიმე ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის მხარდაჭერით. ამ მანიფესტაციამ მრავალი დაპირისპირება გამოიწვია ლგბტ აქტივისტურ ჯგუფებსა და ფართო ლგბტ მოსახლეობაში, რადგან ორგანიზატორების მტკიცებით მსვლელობა მხოლოდ ქალებისთვის იყო განკუთვნილი. ანა პანდეი (როგორც ციტირებულია ნასლოვისთან, 2015, ონლაინ), ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, განაცხადა:

ჩვენ მოვაწყვეთ ლესბოსელთა მსვლელობა, რადგან ვფიქრობთ, რომ ლესბოსელები ზოგადად მრავალ უხილავობას განიცდიან ჩვენს საზოგადოებაში. ჩვენ აქ ვართ, ვმონაწილეობთ საპროტესტო აქციებში, მუშათა საპროტესტო აქციებში, ქალების პროტესტში, პრაიდში... მაგრამ მაინც არ ვართ... იქ არ არიან ლესბოსელები, წინა პლანზე ყოველთვის სხვა ჯგუფი დგას. ეს არის ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი რის გამოც გვინდოდა ლესბოსელთა მარში. უმნიშვნელოვანესია ზოგადად ქალებმა და უპირველეს

⁴⁰ ევროპის პრაიდის ორგანიზატორთა ასოციაცია, აქტივისტური ორგანიზაციების ქსელია რომელიც 1991 წელს ლონდონში დაარსდა. მისი მიზანია იყო ევროპის მასშტაბით ლესბოსელ, გეი, ბისექსუალ და ტრანსგენდერთა პრაიდის პოპულარიზაცია და ადგილობრივი და ეროვნული პრაიდის ორგანიზაციების მხარდაჭერა. აქტივიზმის პროფესიონალიზაციასა და აქტივიზმზე ამ პროცესის გავლენის შესახებ, იხილეთ ბატერფილდის თავი ამ ტომში.

ყოვლისა ლესბოსელებმა, მაგრამ შემდეგ ყველა სხვა თანამებრძოლმა ქალმა, ჰეტეროსექსუალმა, ბისექსუალმა, ქვიარმა - მოითხოვონ საჯარო სივრცე თავიანთთვის.

მეტიც, 2015 წლის აგვისტოში, პრაიდის მარშამდე 1 თვით ადრე, გამოცხადდა, რომ ტრანს პრაიდი⁴¹ ჩატარდებოდა ბელგრადის პრაიდისგან დამოუკიდებლად, თუმცა, ასევე 2015 წლის 20 სექტემბერს. ამ გადაწყვეტილების კომენტარებისას, გეი აქტივისტმა და პოლიტიკოსმა ბორის მილიჩევიჩმა (GayEcho, 2015, ონლაინ) განაცხადა:

სერბული ლგბტ თემი წლების განმავლობაში იყო სამოქალაქო გაერთიანების მძევალი, რომელსაც მოსწონს საკუთარი თავის წარმოჩენა ამ თემის ერთადერთ წარმომადგენელად. თავისუფლად შეიძლება ითქვას რომ საზოგადოება და მედია პრაიდის მარშებს ლგბტ თემისთვის ერთადერთ მნიშვნელოვან საკითხად აღიქვამს, ასოციაცია „ბელგრად პრაიდი“ მიზანმიმართულად აფერხებს აქტივიზმის განვითარებას და ამ მარგინალიზებულ ჯგუფს განვითარების ყველა სხვა შესაძლებლობას უსპობს. ამ წლამდე ლგბტ თემი მოთმინებით დუმდა ამ პატარა არალეგიტიმური ჯგუფის, სახელად „ბელგრადის პრაიდის“ ყველა ბოროტმოქმედების, პოლიტიკური გაუნათლებლობისა და მონოპოლისტური ქცევის მიმართ. [...] მარტივად რომ ვთქვათ, არავის აღარ სურს უიმედოდ დაიხრჩოს მკვდარ ზღვაში, რომელშიც სერბული ლგბტ აქტივიზმი ჩააგდო „ბელგრადის პრაიდმა“ და მათ რამდენიმე სატელიტურმა არასამთავრობო ორგანიზაციამ. სწორედ ამიტომ, მხარდაჭერა, რომელსაც ტრანს პრაიდი მიიღებს მომავალში, არის არა მხოლოდ მოძულეებულთა და ტრანს ადამიანთა მხარდაჭერა, არამედ ჯანსაღი ლგბტ აქტივიზმის მხარდაჭერა სერბეთში.*

დასკვნა

ამ თავმა აჩვენა, თუ როგორ იყო ბელგრადის პრაიდის მარშის მღელვარე ისტორია, მისი საწყისებიდან 2000-იანი წლების პირველი ნახევარში, მჭიდროდ გადაჯაჭვული სერბეთის ევროკავშირში გაწევრიანების პროცესთან. ევროკავშირის ლგბტ-თან დაკავშირებული პოლიტიკების აქტუალობის წინ წამოწევა და ბოლოდროინდელი „აჩქარება“ (Ayoub & Paternotte, 2014; Kahlina, 2014) ძირითადად იმეორებს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ევროკავშირში გაწევრიანების პროცესებს. ეს ასევე დაემთხვა იუგოსლავური მემკვიდრეობისთვის წარმართული ომების დასრულებას, რამაც პოსტ-იუგოსლავურ სახელმწიფოებს ევროკავშირში გაწევრიანება მოანდომა, სადაც ისინი ერთგვარ პლატფორმას წარმოადგენენ, რომელზედაც ამ საჯარო პოლიტიკების ისეთი გამოცდა და გამოყენება ხდება, რომ ხშირად უფრო მკაცრიცაა ვიდრე ის სამართლებრივი გარანტიები, რომლებიც ლგბტ მოსახლეობას ევროკავშირის ზოგიერთ ძველ სახელმწიფოში აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის პირობითობაზე დაფუძნებული სტრატეგიები, რომლებიც

⁴¹ ეს ღონისძიება ორგანიზებულია სამოქალაქო გაერთიანება Egal-ისა და Gay Lesbian Info Centre, Belgrade-ის მიერ.

ემსახურებიან მისი კანდიდატი ქვეყნების "დაწევას" კონტინენტის დანარჩენ "ცივილიზებულ" ნაწილთან, მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ აქტივისტებს აძლევს ბერკეტს, რომლითაც ზეწოლას ახდენენ ზოგჯერ ურჩ მთავრობებზე - მათ აქვთ იმპერიალისტური განზომილება (Böröcz & Sarkar, 2005; Kulpa, 2014), რომელიც უგულებელყოფს ადგილობრივი კონტექსტის თავისებურებებს და მთავრდება სასურველის საპირისპირო შედეგებით.

სერბეთის სოციალურ-პოლიტიკურ კონტექსტში, რომელიც ხასიათდება ომის ძალადობისა და ღრმა გადატაკების მემკვიდრეობით, პრაიდის მარშების დასავლური ფორმის ათვისება მოხდა. ეს „გეი იდენტობის გლობალიზაციაზე“ მეტყველებს, მაგრამ ვერ პასუხობს სერბი ლგბტ აქტივისტთა „თემის“ სერიოზულ და გრძელვადიან პოლიტიკურ თავსატეხს შექმნან სტრატეგიები რომელებიც გასცდებიან ადამიანის უფლებების პატივისცემასა და შეკრებისა და პროტესტის უფლებაზე დაჟინებას. უფლებებზე დაფუძნებული ეს „მანტრა“ არა მხოლოდ ფორმალისტური და პრაგმატულია, არამედ ხშირად ვერ ამჩნევს ჩაგვრის ინტერსექციურ ხასიათს, რომელსაც ბევრი ლგბტ ადამიანი განიცდის. ათწლეულზე მეტი ხნის მტკივნეულ და ზოგჯერ აშკარად ძალადობრივ მცდელობებს გამართულიყო პრაიდის მარშის, შედეგად ორი რეალურად შემდგარი პრაიდი მოჰყვა, რაც გვიჩვენებს, რომ რაღაც არასწორია არა მხოლოდ ჯერ კიდევ ღრმად ჰომოფობიურ სახელმწიფოსთან და მის (არა) მზაობასთან მოთოკოს ძალადობა, არამედ პრაიდთანაც, როგორც გეების ემანსიპაციის ინსტრუმენტთან იმ ვითარებაში, რომელშიც ის არის ორგანიზებული ან შეწინააღმდეგებული კონკურენტი და მაღალპროფესიონალიზებული ლგბტ აქტივისტური ორგანიზაციების მიერ.

იმის გათვალისწინებით, რომ სერბეთის ლგბტ ინიციატივები გაჩნდა 1990-იანი წლების დასაწყისში იმ კონტექსტში, როცა ენჯეოები "ყოველთვის უკვე" იქ იყვნენ, ენჯეოიზებისა და ევროპეიზაციის დაწყვილებამ გაართულა არტიკულაცია და კიდევ უფრო გაართულა ერთგვარი აქტივისტური ჩართულობის შენარჩუნება რომელიც ენჯეო ჩარჩოს მიღმა იარსებებდა. ამან, ერთი მხრივ, მოაშორა აქტივისტური ბრძოლა ადგილობრივი ლგბტ მოსახლეობის ყოველდღიურ წუხილებს (განსაკუთრებით იმ სეგმენტებს, რომლებიც არ ცხოვრობენ მთავარ ურბანულ ცენტრებში, არამედ მთლიანად ქვეყანაში) და სერიოზულად შეზღუდა აქტივისტების პრეტენზიები თავიანთი წარმომადგენლობითი ლეგიტიმურობის შესახებ (Bilić & Stubbs, 2015). მან ასევე შექმნა ევროკავშირის ოფიციალური პირებით, დასავლელი წარმომადგენლებით და ადგილობრივი პროფესიონალებითა და შუამავლებით დასახლებული „საერთაშორისო-საშინაო საჯარო სფერო“, მეტ-ნაკლებად დაშორებული სახელმწიფო აპარატისგან, რომელიც დისკურსული საშუალებებით ამარაგებს (Lendvai, 2007) არაპეტერონორმატიულობაზე საუბარს და ამით კიდევ უფრო აუცხოებს აქტივიზმს როგორც მისი „ბაზისგან“, ისე ფართო საზოგადოებისგან.

გამოყენებული წყაროები

Anderson-Minshall, D. (2012). Transgender Jesus and LGBT apostles enrage Serbians. Retrieved from <http://www.advocate.com/arts-entertainment/art/2012/10/04/transgender-jesus-and-lgbt-apostles-enrage-serbians>.

- Antonić, S. (2003). Misionarska inteligencija u današnjoj Srbiji. Retrieved from <http://www.nspm.rs/politicki-zivot/misionar-ska-inteligencija-u-danasnjojsrbiji.html>.
- Ayoub, P. M. & Paternotte, D. (Eds.) (2014). LGBT activism and the making of Europe: A rainbow Europe . London: Palgrave Macmillan.
- Azdejković, P. (2009). Kako je propao Belgrade Pride. Beton , 82. Retrieved from <http://www.elektrobeton.net/armatura/kako-je-propao-belgrade-pride>.
- B92. (2001). Đinđić o sprečavanju gej parade. Retrieved from http://www.b92.net/info/vesti/index.php?yyyy=2001&mm=07&dd=01&nav_category=1&nav_id=27367.
- B92. (2009). Povučen antidiskriminacioni zakon. Retrieved from http://www.b92.net/info/vesti/index.php?yyyy=2009&mm=03&dd=04&nav_category=11&nav_id=348284.
- B92. (2013). Ljubica Gojčić's interview with Ivica Dačić. Retrieved from <https://www.youtube.com/watch?v=X6h0IqcbNUM>.
- Bakić-Hayden, M. (1995). Nesting orientalisms: The case of former Yugoslavia. Slavic Review , 54 , 917–931.
- BBC. (2004). Kosovo clashes 'ethnic cleansing'. Retrieved from <http://news.bbc.co.uk/2/hi/europe/3551571.stm>.
- Belgrade Pride Blog. (2009a). Izjava podrške Povorci ponosa od strane Predsedništva Švedske Evropskom unijom. Retrieved from <http://belgradepride.blog.rs/blog/belgradepride/generalna/2009/09/17/izjava-podrskepovorci-ponosa-od-strane-predsednistva-svedske-evropskom-unijom>.
- Belgrade Pride Blog. (2009b). Holandska ambasada podržava beogradsku paradu ponosa. Retrieved from <http://belgradepride.blog.rs/blog/belgradepride/saopstenja/2009/09/16/holandska-ambasada-podrzava-beogradsku-paradiponosa>.
- Belgrade Pride Blog. (2009c). Podrška slovenačkog poslanika u Evropskom parlamentu. Retrieved from <http://belgradepride.blog.rs/blog/belgradepride/saopstenja/2009/09/17/podrška-slovenackog-poslanika-u-evropskomparlamentu>.
- Belgrade Pride Blog. (2009d). Država ne sme da kapitulira pred pretnjama nasiljem. Retrieved from <http://belgradepride.blog.rs/blog/belgradepride/generalna/2009/09/16/država-ne-sme-da-kapitulira-pred-pretnjamasiljem>.
- Belgrade Pride Blog. (2009e). Formiran "LGBT forum Srbija"—Povorka ponosa u septembru. Retrieved from <http://belgradepride.blog.rs/blog/belgradepride/saopstenja/2010/04/09/povorka-ponosa-u-septembru>.
- Beta. (2009). Otkazana parada ponosa. Politika. Retrieved from <http://www.politika.rs/rubrike/vesti-dana/Otkazana-Parada-ponosa.lt.html>.
- Beta. (2014). Kirbi: Atmosfera u Srbiji sve bolja. Danas. Retrieved from http://www.b92.net/info/vesti/index.php?yyyy=2014&mm=09&dd=29&nav_category=12&nav_id=905443.
- Bilić, B. (2012). We were gasping for air: (Post-)Yugoslav anti-war activism and its legacy . Baden-Baden, Germany: Nomos.
- Bilić, B. (2014). Europeanisation and LGBT activism in the (Post-)Yugoslav space: Bertinoro workshop report. Portal on Central Eastern and Balkan Europe. Retrieved from www.pecob.eu.

- Bilić, B. (2016). Whose Pride? The 'LGBT community' and the organisation of Pride parades in Serbia. In K. Slootmaeckers, H. Touquet & P. Vermeersch (Eds.), *The EU enlargement and gay politics : The impact of Eastern enlargement on rights , activism and prejudice* . London: Palgrave Macmillan.
- Bilić, B. & Kajinić, S. (2016). Intersectionality and LGBT activist politics: Multiple others in Croatia and Serbia . London: Palgrave Macmillan.
- Bilić, B. & Stubbs, P. (2015). Unsettling “the urban” in post-Yugoslav activism: Right to the City and Pride parades in Serbia and Croatia. In K. Jacobsson (Ed.), *Urban movements and grassroots activism in Central and Eastern Europe* (pp. 98–113). London: Ashgate.
- Binnie, J. & Klesse, C. (2012). Solidarities and tensions: Feminism and transnational LGBTQ politics in Poland. *European Journal of Women's Studies* , 19 , 444–459.
- Birn. (2014).
- Belgrade Pride 2014: Live blog. Retrieved from <http://www.balkaninsight.com/en/article/belgrade-pride-2014-live-blog>. BKTV. (2001). Gay Pride Belgrade. Retrieved from <https://www.youtube.com/watch?v=Lw67JRc10ak>.
- Blagojević, J. (2011). Between walls: Provincialisms, human rights, sexualities and Serbian public discourses on EU integration. In R. Kulpa & J. Mizielińska (Eds.), *De-centring Western sexualities: Central and East European perspectives* (pp. 27–42). London: Ashgate.
- Blic. (2013). Kako je organizovan “Noćni Prajd”. Blic . Retrieved from [http:// www.blic.rs/Vesti/Tema-Dana/408370/Kako-je-organizovan-nocniPrajd](http://www.blic.rs/Vesti/Tema-Dana/408370/Kako-je-organizovan-nocniPrajd).
- Böröcz, J., & Sarkar, M. (2005). What is the EU? Retrieved from <http://www.rci.rutgers.edu/~jborocz/IS..pdf>.
- Butler, J. (1993). *Bodies that matter* . London: Routledge.
- Calypso. (2009). Usvojen predlog zakona o zabrani diskriminacije. Retrieved from <http://www.gay-serbia.com/forum/usvojen-predlog-zakona-o-zabranidiskriminacije-t37163s720.html>.
- DC101. (2012). Secretary general Jagland “surprised and disappointed” about ban of “Belgrade Pride”. Retrieved from <https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=1983785&Site=DC&BackColorInternet=F5CA75&BackColorIntranet=F5CA75&BackColorLogged=A9BACE>.
- Đurić, M. (2001). Under attack in Yugoslavia: Gay rights and democracy. Retrieved from http://www.thegully.com/essays/gaymundo/010723yu_gay_djuric.html.
- Fonet. (2010). Povorka ponosa: ponavlja se situacija iz 2009. Retrieved from <http://www.blic.rs/Vesti/Drustvo/188890/Povorka-ponosa-Ponavlja-sesituacija-iz-2009/print>. Forum pisaca. (2001). Saopštenje. Retrieved from <http://www.b92.net/specijal/gay-parada/gay-saop.phtml>.
- Gayecho. (2004). Pismo saveznom ministarstvu za nacionalne manjine. Retrieved from <http://www.gayecho.com/aktivizam.aspx?id=3269#.VtMay3ubHfc>.
- GayEcho. (2015). Trans prajd kao odgovor bahatim aktivistima. Retrieved from <http://gayecho.com/Trans.aspx?id=23829&grid=2050&page=1#.VdYDQnvVrfc>.
- Gay Straight Alliance. (2011). Step by step: Report on human rights status of LGBT persons in Serbia 2010. Retrieved from <http://gsa.org.rs/wp-content/uploads/2012/04/GSA-report-2010.pdf>.
- GLIC. (2013). Prekinite da preko leđa LGBT populacije uslovljavate Srbiju. Retrieved from <http://gayecho.com/glic/?p=584#.VdSV0nvVrfd>.

- Gligorić, J. (2015). Zašto sam izašla iz žirija za nagradu "Duga"? Vreme . Retrieved from <http://www.vreme.com/cms/view.php?id=1298634>.
- Gočanin, S. (2014). Počeci LGBT organizovanja u Srbiji: Pismo iz Slovenije koje je pokrenulo istoriju. In J. Blagojević & O. Dimitrijević (Eds.), *Međunama: Neispričane priče gej i lezbejskih života* (pp. 334–347). Belgrade, Serbia: Heartefact.
- Gordy, E. (1999). *The culture of power in Serbia: Nationalism and the destruction of alternatives* . Philadelphia: The Pennsylvania State University Press.
- Gordy, E. (2013). *Guilt, responsibility and denial: The past at stake in post-Milošević Serbia* . Philadelphia: University of Pennsylvania Press.
- Grujić, R. (2003, January 16). Pod zastavom duginih boja. Vreme , p. 56.
- Intergroup on LGBT Rights. (2010) Support for Pride event in Belgrade on 10th October 2010. Retrieved from <http://www.lgbt-ep.eu/wp-content/uploads/2010/10/LT-20101007-Letter-of-support-for-Serbia-Pride.pdf>.
- Intergroup on LGBT Rights. (2012). Belgrade Pride banned again for 2012. Retrieved <http://www.lgbt-ep.eu/press-releases/belgrade-pride-banned-againfor-2012>.
- Jansen, S. (2009). After the red passport: Towards an anthropology of the everyday geopolitics of entrapment in the EU's 'immediate outside'. *Journal of the Royal Anthropological Institute* , 15 , 815–832.
- Johnson, C. A., & de Meirleir, D. (2004). IGLHRC and ILGA-Europe's letter to the Serbian government regarding the anti-discrimination law. Retrieved from <http://www.b92.net/specijal/gay-parada/gay-saop.phtml>.
- Kahlina, K. (2014). Local histories, European LGBT designs: Sexual citizenship, nationalism and "Europeanisation" in post-Yugoslav Croatia and Serbia. *Women's Studies International Forum* , 49 , 73–83.
- Kajinić, S. (2003). Experiences of lesbians at the Belgrade Pride 2001 and Zagreb Pride 2002. Master's thesis defended at the Central European University in Budapest, Hungary.
- Kates, S. M. & Belk, R. W. (2001). The meanings of lesbian and gay Pride Day: Resistance through consumption and resistance to consumption. *Journal of Contemporary Ethnography* , 30 , 392–429.
- Kideckel, D. A. (1996). What's in a name? The persistence of Eastern Europe as conceptual category. Retrieved from <http://www.c3.hu/scripta/scripta0/replika/honlap/english/01/03ckid.htm>.
- Kiossev, V. (2011). The self-colonizing metaphor. Retrieved from <http://monumenttotransformation.org/atlas-of-transformation/html/s/self-colonization/the-self-colonizing-metaphor-alexander-kiossev.html>.
- Knežević, N. (2014). "Out and proud": LGBT zajednica i politike posle 2000. godine. In J. Blagojević & O. Dimitrijević (Eds.), *Među nama: Neispričane priče gej i lezbejskih života* (pp. 348–358). Belgrade, Serbia: Heartefact.
- Kožul, D. (2009). Kakvu smo sliku ostavili deci? E-novine. Retrieved from <http://www.e-novine.com/intervju/intervju-drustvo/30270-Kakvu-smosliku-ostavili-deci.html>.
- Kulpa, R. (2014). Western leveraged pedagogy of Central and Eastern Europe: Discourses of homophobia, tolerance and nationhood. *Gender, Place & Culture: A Journal of Feminist Geography* , 21 , 431–448.
- Kulpa, R. & Mizielińska, J. (2011). Introduction: Why study sexualities in Central and Eastern Europe? In R. Kulpa & J. Mizielińska (Eds.), *De-centring Western sexualities: Central and East European perspectives* (pp. 1–9). London: Ashgate.

Labris & Gayten-LGBT. (2001). Saopštenje. Retrieved from <http://www.b92.net/specijal/gay-parada/gay-saop.phtml>.

Lendvai, N. (2007). Europeanization of social policy? Prospects and challenges for South East Europe. In B. Deacon & P. Stubbs (Eds.), *Social policy and international interventions in South East Europe* (pp. 22–44). Cheltenham, England: Edward Elgar.

Lukić, S. (2013). Prajd u Rexu. Retrieved from <http://pescanik.net/nedeljaponosa-pescanik-u-rexu>.

Maljković, D. (2014). "To radi u teoriji, ali ne u praksi": Identitetski (LGBT) aktivizam protiv kvir aktivizma. In J. Blagojević & O. Dimitrijević (Eds.), *Među nama: Neispričane priče gej i lezbejskih života* (pp. 361–369). Belgrade, Serbia: Heartefact.

Marinković, L. (2015). At least 2 people beaten up for being gay in Belgrade in the last 2 weeks. Retrieved from <http://www.buzzfeed.com/lazaralazara/at-least-2-people-beaten-up-for-being-gay-in-belgr-6qjt#.tykKMRZKd>.

Marković, N. (2010, October 10). Vordsvort: Podrška paradi ponosa. Blic . Retrieved from <http://www.blic.rs/Vesti/Drustvo/211177/Vordsvort-PodrškaParadi-ponosa>.

Marks21. (2014). Ne prajdu Brisela i Vučića! Da ponosnoj borbi za LGBTQ jednakost. Retrieved from <http://www.marks21.info/lgbtq/ne-prajdu-briselai-vucica-da-ponosnoj-borbi-za-lgbtq-jednakost>.

Melegh, A. (2006). *On the East/West slope: Globalization, nationalism, racism and discourses on Central and Eastern Europe* . New York: Central European University Press.

Mikuš, M. (2011). 'State Pride:' Politics of LGBT rights and democratisation in 'European Serbia'. *East European Politics and Societies* , 25 , 834–851.

Miller, R. (2010, September 11). EU has a role to play in tackling Serbian homophobia. *Guardian* . Retrieved from <http://www.theguardian.com/commentisfree/libertycentral/2010/sep/11/serbia-gay-pride-homophobia-eu>.

Mizielińska, J. & Kulpa, R. (2011). 'Contemporary Peripheries': Queer studies, circulation of knowledge and East/West divide. In R. Kulpa & J. Mizielińska (Eds.), *De-centring Western sexualities: Central and East European perspectives* (pp. 11–26). London: Ashgate.

Mladenović, L. (2012). Notes of a feminist lesbian in anti-war initiatives. In B. Bilić & V. Janković (Eds.), *Resisting the evil: (Post-)Yugoslav anti-war contention* . Baden-Baden, Germany: Nomos.

Mladenović, L., Macanović, B., Maljković, D., Milićević, B., Kovacs, A., Šabanović, M. et al. (2004, July 30). Poziv na linč. *Danas* , p. 8.

Morgan, J. (2012). Banning of gay pride may damage Serbia's European Union chances. Retrieved from <http://www.gaystarnews.com/article/banning-gaypride-may-damage-serbia%E2%80%99s-european-union-chances051012>.

N. N. (2001). Razbijanje gay parade. Retrieved from http://www.b92.net/specijal/gay-parada/tema_dana.phtml.
Naslovi. (2012). Evropski gej policajci podržali paradu ponosa. Retrieved from <http://www.naslovi.net/2012-09-30/24sata/evropski-gej-policajcipodrzali-paradu-ponosa/3911114>.

Naslovi. (2015). Lezbejski marš je održan u Beogradu, a vi niste imali pojma. Retrieved from <http://www.naslovi.net/2015-04-20/24sata/lezbejski-marsje-odrzan-u-beogradu-a-vi-niste-imali-pojma/14242298>.

- OSCE Mission in Serbia. (2009). OSCE mission, European Commission delegation, Council of Europe's office express regret that the 2009 Belgrade Pride Parade has been cancelled. Retrieved from <http://www.osce.org/serbia/51338>.
- Petrelis, M. (2015). Why won't lesbian herstory archives join pride this year? Retrieved from <http://mpetrelis.blogspot.nl/2015/05/why-wont-lesbianherstory-archives-join.html>.
- Petrović, I. (2003). Daleko od kumova, svadbe i bidermajera. Retrieved from <http://www.gay-serbia.com/press/2003/03-05-19-daleko-od-kumova-status/index.jsp?aid=756>.
- Petrović, T. (2012). Yuropa: Jugoslovensko nasleđe i politike budućnosti u postjugoslovenskim zemljama . Belgrade, Serbia: Fabrika knjiga.
- Petrović, I. (2014). Prajd u Beogradu samo zbog EU? Retrieved from <http://www.dw.com/bs/prajd-u-beogradu-samo-zbog-eu/a-17961089>.
- Politika. (2013). Srbija razgovara: Oktobarska gej revolucija. Retrieved from http://www.politika.rs/index.php?lid=lt&show=rubrike&part=list_reviews&int_itemID=191605.
- Popović, P. (2004, April 21). Parada kao politički događaj. Blic News , p. 28.
- R. D. (2009). Usvojen predlog zakona protiv diskriminacije. Retrieved from <http://archive.is/qm45X>.
- S. Č. (2014). Vučić: Ko pravi incidente biće kažnjen. Danas. Retrieved from http://www.danas.rs/danasrs/drustvo/vucic_ko_pravi_incidente_bice_kaznjen_55.html?news_id=289627.
- Savić, M. (Ed.) (2011). Godišnji izveštaj o položaju LGBTIQ populacije u Srbiji za 2010. godinu . Belgrade, Serbia: Labris.
- Simić, M. (2011). LGBT Pride politics in Croatia. Retrieved from <http://igkultur.at/lingua/english/lgbt-pride-politics-in-croatia>.
- Simo, A. (2001). Violence stops Yugoslavia gay pride. Retrieved from http://www.thegully.com/essays/gaymundo/010705gay_yugoslavia.html.
- Škrnjić, B. (2009). Nerealno skoro organizovanje nove "Povorke ponosa". Borba . Retrieved from <http://azdejkovic.com/borba-nerealno-skoro-organizovanjenove-%E2%80%9Epovorke-ponosa%E2%80%9C>.
- Spoerri, M. (2014). Engineering revolution: The paradox of democracy promotion in Serbia . Philadelphia: University of Pennsylvania Press.
- Stanimirović, D. (2004, February 24). Opet gej parade. Glas javnosti , p. 5.
- Stanojlović, S. (2001). Helsinški odbor za ljudska prava u Srbiji: Saopštenje za javnost. Retrieved from <http://www.b92.net/specijal/gay-parada/gay-saop.phtml>.
- Stojaković, A. (Ed.) (2014). Parada ponosa i LGBT populacija . Belgrade, Serbia: Fund for an Open Society.
- Stojčić, M. (2014). Summary and final examination. In A. Stojaković (Ed.), Parada ponosa i LGBT populacija (pp. 142–155). Belgrade, Serbia: Fund for an Open Society.
- Stychin, C. F. (2004). Same-sex sexualities and the globalisation of human rights discourse. McGill Law Journal , 49 , 951–968.

Sveriges Radio. (2013). Swedish minister disappointed by decision to ban Belgrade Pride. Retrieved from http://sverigesradio.se/sida/artikel.aspx?progr_amid=2054&artikel=5659425.

Tešanović, J. (2001). Why gays got attacked in Belgrade: An eyewitness account. Retrieved from http://www.thegully.com/essays/gaymundo/010705serbia_gay_Tesanovic.html.

Tunjić, A. (2015). Bez istine nema pomirenja: Interview with Sonja Biserko. Vijenac , 558–560. Retrieved from <http://www.matica.hr/vijenac/558%20-%20560/Bez%20istine%20nema%20pomirenja>.

Udruženje za promociju ljudskih prava seksualno različitih “Pride”. (2004). Otkazivanje parade ponosa Beograd 2004. Retrieved from <http://gayecho.com/drustvo.aspx?id=3287&grid=2001&page=227#.VczW5HvVrfe>.

Večernji. (2011). EU parlamentarka: Bojala sam se više nego lani u Beogradu. Retrieved from <http://www.vecernji.hr/hrvatska/eu-parlamentarka-bojala-samse-vise-nego-lani-u-beogradu-299811>.

Veljak, L. (2005). Antitetička solidarnost? Filozofska istraživanja , 25 , 581–589.

Voice of Serbia (2013). Schultz and Kacin condemn the banning of Pride parade. Retrieved <http://voiceofserbia.org/content/schulz-and-kacin-condemnedbanning-pride-parade>.

Živanović, K. (2011, December 29). Zabrana parade neustavna. Danas. Retrieved from http://www.danas.rs/danasrs/drustvo/zabrana_parade_neustavna_.55.html?news_id=231204.